



„ცხოვრება
იგავ-არაკივით
შინაარსით
იზომება და
არა სიგრძით“
სენეკა

კასა კერესელიძე
მუღამ ღიმილიანი
უნივერსიტეტელი



წინასიტყვაობის მაგიერ

ეს წიგნი კახა კერესელიძეს ეძღვნება.
მის ხსოვნას ეძღვნება...

შეიძლება ფაქტებისა თუ ფოტოების
თანმიმდევრობა დაცული ვერ იყოს,
მაგრამ ეს არაა მთავარი...

მთავარი მისი ღიმილიანი სახეა,
რომელიც მუდამ გვემახსოვრება...

ეს წიგნი ერთ გულიან, მზიან,
ღიმილიან ბიჭს ეძღვნება...

ეს წიგნი კახას ეძღვნება, კახუნას...



ავტობიოგრაფია

კახა კერესელიძე

მე, **კახაპარ ჯაბას-ძე კერესელიძე** დავიბადე 1981 წლის 13 აპრილს ქ. მოსკოვში. 1986 წელს შევედი და 1998 წელს დავამთავრე ქ. რუსთავის '2 საშუალო სკოლა. 1998 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2003 წელს. ვიყავი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე. აგრეთვე, სამეცნიერო საზოგადოების წევრი. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სამეცნიერო კონფერენციებში. ვიყავი სერგო ჯორბენაძის სახელობის სტიპენდიანტი.

2000-2002 წლებში ვიყავი ახალგაზრდული პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

მყავს დედა, მამა და ძმა. მამა პროფესიით იურისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელია. დედა პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგია, ძმა საქართველოს პოლიციის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი.

ამჟამად ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრის ასპირანტი და ამავდროულად კათედრის ლაბორანტი.

ვარ რამოდენიმე ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი და წევრი.



საქართველოს გეოლოგია

ნათელში იყოს ზნეკეთილი ახალგაზრდის სული

ძალიან მიძიმის, რომ ჩემს ყოფილ სტუდენტსა და მაგისტრანტზე წარსულ დროში მიხდება ლაპარაკი. ჩემს გულისტკივილს ისიც ამძიმებს, რომ **კახა კერესელიძე** სიცოცხლით სავსე, ფიზიკურად ძლიერი, ბუნებით ზნეკეთილი პიროვნება იყო. კახამ წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურში და იქაც წარმატებით ეუფლებოდა ცოდნას. ჩემთვის, როგორც რექტორისათვის, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის ბედი აყო მნიშვნელოვანი. მე ყველა მათგანი მიყვარდა და ყოველთვის ვცდილობდი თითოეულ მათგანს ცოდნის მაქსიმუმი შეეთვისებინა. ძალიან ვაფასებდი სტუდენტთა საზოგადოებრივ საქმიანობას, მათ მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებსა თუ მხატვრულ თვითმოქმედებაში. ჩემთვის მძიმე დარტყმა იყო რამდენიმე სტუდენტის აფხაზეთის ომში დაღუპვა, შემზარა ძალიან ნიჭიერი, წარჩინებული სტუდენტის დათა გულუას – ამ შესანიშნავი პოეტის გარდაცვალებამ. მე კახა კერესელიძეს დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებდი. ამის საფუძველს კახას სადაგი გონება, გამჭრიახობა, ღრმა ცოდნა და ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული მამლევდა. იგი XXI საუკუნის ჭეშმარიტი მოქალაქე იყო. ჩემი და კახას ურთიერთობა სცილდებოდა რექტორისა და სტუდენტის, ოსტატისა და შეგირდის ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენ ბევრ საჭირობოროტო საკითხზე გვექონია მსჯელობა კახასა და მის მეგობრებთან ერთად. ჩემთვის მათი აზრი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევი იყო.

ერთხელ კიდევ მისამძიმრებასთან ერთად, მინდა მის ოჯახს, მშობლებს, მეგობრებს, ახლობლებს კარგად ყოფნა ვუსურვო, რადგან ეს აუცილებელი პირობაა კახა კერესელიძის არდასავინყებლად და მისი სახელის უკვდავსაყოფად.

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მე

ნეტარებით მოველით მე და მამიკო იმ დღეს, როცა შენ შეგხვდებით, ჩემო სიხარულო

კახა კერასელიძე

კახა კერასელიძის გახსენება



კახუნა, ჩემო სიცოცხლე, რა ძალა მაძლევს შესაძლებლობას, რომ მე შენზე წარსულში ვწერო. უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს გვერდით ფიზიკურად აღარ ხარ. თორემ ისე, სულელო, შენ ჩვენი განუშორებელი ნაწილი ხარ. დედიკო, ჩემო ნანატრო, ჩემო სიხარულო, რა ბედნიერები ვიყავით შენთან ერთად ოცდაოთხი წელი, სამი თვე და ოცდახუთი დღე. ეს ხომ ჩვენთვის უბედნიერესი წლები და დღეები იყო. ჩემო ნანატრო, უნიჭიერესო, საამაყო შვილო, რა დაგემართა უშენოდ? კითხვა, რომელზეც პასუხი ჯერ ვერ გვიპოვია. რა დაგემართა, შენ შვილო, შენ ხომ სიცოცხლით სავსე იყავი? რისთვის დაგემართა ჩვენ, შენს დედ-მამასა და ძმას ასეთი ამბავი? შენ ხომ ცხოვრებაში სიკეთის მეტი არაფერი გიკეთებია? შენ შენი მცირე ცხოვრების მანძილზე შეძელი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება. ეს იყო სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური თუ სამეგობრო. შენ ხომ უსაზღვრო სიყვარულს, სიბოძა და სიკეთეს აფრქვევდი. ახლა რაღა ექნათ შენმა მშობლებმა ან ფრთამოტივებმა შენმა ძმამ, რომელიც ღამე ჩუმად შენს საძინებელში ტრის? შეილო, ვველასთვის თეზაურსადამცემი იყო შენი ტრაგიკული დაღუპვა. შენი მეგობრები ჯერაც ვერ მოსულან გონზე. ხშირად გვაკითხავენ და გვანუგუმებენ, მაგრამ ჩვენი ნეტარებით მოველით მე და მამიკო იმ დღეს, როცა შენ შეგხვდებით, ჩემო სიხარულო. ელოცულობთ და ღმერთს შევსთხოვთ, რომ შენი სული სასუფეველში მოხვდეს. დედა, მამა და პაპუნა

კახუნა, ჩემო სიცოცხლე, რა ძალა მაძლევს შესაძლებლობას, რომ მე შენზე წარსულში ვწერო. უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს გვერდით ფიზიკურად აღარ ხარ. თორემ ისე, სულელო, შენ ჩვენი განუშორებელი ნაწილი ხარ. დედიკო, ჩემო ნანატრო, ჩემო სიხარულო, რა ბედნიერები ვიყავით შენთან ერთად ოცდაოთხი წელი, სამი თვე და ოცდახუთი დღე. ეს ხომ ჩვენთვის უბედნიერესი წლები და დღეები იყო. ჩემო ნანატრო, უნიჭიერესო, საამაყო შვილო, რა ვქნათ უშენოდ? კითხვა, რომელზეც პასუხი ჯერ ვერ გვიპოვია. რა დაგემართა, შეილო, შენ ხომ სიცოცხლით სავსე იყავი? რისთვის დაგემართა ჩვენ, შენს დედ-მამასა და ძმას ასეთი ამბავი? შენ ხომ ცხოვრებაში სიკეთის მეტი არაფერი გიკეთებია? შენ შენი მცირე ცხოვრების მანძილზე შეძელი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება. ეს იყო სკო-



ლა, უნივერსიტეტი, სამსახური თუ სამეგობრო. შენ ხომ უსაზღვრო სიყვარულს, სითბოსა და სიკეთეს აფრქვევდი. ახლა რაღა ვქნათ შენმა მშობლებმა ან ფრთამოტეხილმა შენმა ძმამ, რომელიც ღამე ჩუმად შენს საძინებელში ტირის?

შეილო, ყველასთვის თავზარდამცემი იყო შენი ტრაგიკული დაღუპვა. შენი მეგობრები ჯერაც ვერ მოსულან გონზე. ხშირად გვაკითხავენ და გვანუგეშებენ, მაგრამ ჩენი ნუგეში შეუძლებელია.

ნეტარებით მოველით მე და მამიკო იმ დღეს, როცა შენ შეგხვდებით, ჩემო სიხარულო. ვლოცულობთ და ღმერთს შეეთხოვთ, რომ შენი სული სასუფეველში მოხვდეს.

დედა, მამა და პაპუნა
"ალია". N91 (1922)
5-7 აგვისტო, 2006 წელი.



ქება ქართული

მ

კახა კერესელიძე

კახა კერესელიძე, ჩემი ხსოვნიდან, ჩემი ემოციური და სულიერი სამყაროდან არ წაიშლება

კახა კერესელიძე, ცხადია, ჩემი ხსოვნიდან, ჩემი ემოციური და სულიერი სამყაროდან არ წაიშლება – განონასწორებული და გონიერი, ამასთან აქტიური და უშიშარი, ზრდილი და ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი, თანატოლების ჭეშმარიტი ლიდერი...

მაშინ, როცა გაეროს და იუნესკოს დოკუმენტები საგანმანათლებლო პროცესში რევოლუციურ გარდაქმნებს არა თუ არ უნევენ რეკომენდაციას, არამედ საგანმანათლებლო ტრადიციების პატივისცემასა და დაცვას პირდაპირ ავალუბენ სახელმწიფოებს, გასული საუკუნის ბოლოდან უნივერსიტეტს თავს მოახვიეს პოლემიკა სტუდენტური თვითმმართველობის თაობაზე; შემდეგ კი, გარედან დაფინანსებულმა გამანადგურებელმა იდეოლოგიამ სტუდენტთა შორის კონფრონტაციული და აშკარა ძალადობაზე დაფუძნებული აქტივობაც დააფინანსა. ამ პერიოდში გახდა ჩემთვის ახლობელი კახას პიროვნება. ახალგაზრდა ნანატრი ქართველის სახე, რომელიც ყოველთვის პოზიტიური და საიმედო საყრდენის განცდას ბადებდა და თანადგომისა და შემნეს ფუნქციის მტვირთველი იყო.

მე იმედი მაქვს, რომ მისი თაობა, ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულების პატივისცემას, კახას მსგავსად, საქმით გამოავლენს, კარგად გაერკვევა გარდამავალი პერიოდის სირთულეებში, გაარჩევს მტერს და მოყვარეს, მუდმივ, უცვლელ ღირებულებებს დაეყრდნობა და, ღვთის შენევნით გადაარჩენს არა მარტო კახას ხსოვნას, არამედ კახას აქტივობის მამოძრავებელ ქართველობის ცნებას და საქართველოს მომავალს.

პარმენ მარგველაშვილი
2007 წლის სექტემბერი.

2



საქართველოს სამართლებრივი სისტემა

წი

კახა კერესელიძე

კახა კერესელიძემ თავისი კეთილშობილებით, ზრდილობით, სათნოებით, ნიჭიერებითა და ენერგიულობით მიიქცია არა მხოლოდ ლექტორთა, არამედ თანატოლთა ყურადღებაც, რაც საფუძველი გახდა, გამხდარიყო სტუდენტთა ლიდერი – სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელი.





ძნელია, წარსულში ილაპარაკო ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც 25 წელიც კი არ შესრულებია...

კახა კერესელიძემ, სრულიად ახალგაზრდამ იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში თავისი კეთილშობილებით, ზრდილობით, სათნოებით, ნიჭიერებითა და ენერგიულობით მიიქცია არა მხოლოდ ლექტორთა, არამედ თანატოლთა ყურადღებაც, რაც საფუძველი გახდა, გამხდარიყო სტუდენტთა ლიდერი – სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელი.

კახა კერესელიძე თანაბარი წარმატებით ახერხებდა, ყოფილიყო უამრავი სასიკეთო სტუდენტური მოძრაობის წამომწყები, მათ შორის უნივერსიტეტის ღირსების დამცველიც; ამავე დროს სტუდენტური კონფერენციების აქტიური მონაწილე და ყოველთვის წარმატებულად წარმოჩინებოდა თავისი სალი მეცნიერული კვლევის უნარით. სწორედ მისი ეს წარმატებულობა გახდა საფუძველი, რომ რეკომენდაცია მიეღო, ჩაებარებინა მისაღები გამოცდები ასპირანტურაში ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით და პარალელურად ემუშავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. გამორჩეულს დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიის სიყვარულით, რამდენიმე პუბლიკაციის ავტორს, დასაცავად მზად ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხანმოკლე მუშაობის პერიოდში შეძლო ავტორიტეტის მოპოვება და რომ არა ტრადიციული შემთხვევა, გახდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ევროსაბჭოში.

კახა კერესელიძემ სულ მხოლოდ ორი ათეული იცხოვრა, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო. მისი აქტიური მონაწილეობით, იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავთან დაკავშირებით კავკასიონზე დალაშქრულ უსახელო მწვერვალს ფაკულტეტის სახელი ეწოდა.

დღეს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი თუ სტუდენტი, ვისთანაც კახას ურთიერთობა ჰქონდა, იხსენებს მას, როგორც ღიმილიანსა და სიცოცხლით სავსეს. მისი მამაც, ბატონი ფაბა კერესელიძეც შეხვედრის დროს საუბრობს განათებული სახით თავის ვაჟზე. აქვს კიდევ ამის საფუ-

კახა კერესელიძე

წი

კახა კერესელიძე

ძველი – მან და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნანამ ხომ ღირსეული, სამაგალითო და საამაყო შვილი გაზარდეს კახა კერესელიძის სახით!

2006 წლის 13 აპრილს კახა კერესელიძე 25 წლის გახდებოდა, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ტრაგიკულად მოკვეთა მისი სიცოცხლე. ახლობლები, მეგობრები ამ დღეს მას გაიხსენებენ და პატივს მიაგებენ, როგორც სანიმუშო ქართველს.

თანამშრომელთა და
სტუდენტთა სახელით:
რეზო გოგშელიძე
("თბილისის უნივერსიტეტი"
N9 (2038) 4 აპრილი, 2006 წელი)



თსუ იურიდიული ფაკულტეტის სასწავლოების
აკის დალაშქვრის შემდეგ



სამუშაო გზაზე

კახა კერესელიძის გახსენება

კახა კერესელიძე



კახა კერესელიძის გახსენება

ძალიან ძნელია, კახა, შენზე წარსულში საუბარი. მეგობრებს შენთან ერთად გატარებული დროის გახსენება სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ მაშინვე ისიც გვახსენდება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. დრო შენი წასვლით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს ნამდვილად ვერაფერს შველის. რადგან ახლა უფრო ვაცნობიერებთ, რა დაგვემართა. დღეს

შენი დაბადების დღეა. ადრე ამ დღეს ყველანი განსაკუთრებულად ვემზადებოდით, დღეს კი შენს ბედნიერ ოჯახში მოსვლის ნაცვლად, კახუნა, შენს საფლავზე მოვალთ და იქ მოგილოცავთ.

სიყვარულით თათიასა და კლასელებისგან

ძალიან ძნელია, კახა, შენზე წარსულში საუბარი. მეგობრებს შენთან ერთად გატარებული დროის გახსენება სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ მაშინვე ისიც გვახსენდება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ...

დრო შენი წასვლით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს ნამდვილად ვერაფერს შველის, რადგან ახლა უფრო ვაცნობიერებთ, რაც დაგვემართა... დღეს შენი დაბადების დღეა... ადრე ამ დღეს ყველანი განსაკუთრებულად ვემზადებოდით, დღეს კი შენს ბედნიერ ოჯახში მოსვლის ნაცვლად, კახუნა, შენს საფლავზე მოვალთ და იქ მოგილოცავთ...

სიყვარულით თათიასა და კლასელებისგან.
„ალია“ '41 (1873) 2006 წელი, 13-14 აპრილი



კახა კახიანი



მე

მას დრო არ ყოფნიდა,
 მას დრო არ დასცალდა...

კახა კერესელიძე



ჩემს აღსაზრდელ ასპირანტებს მე ყოველთვის ვარჩევდი არა მხოლოდ აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ მეცნიერული შორსმჭვრეტელობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისითაც. ეს უკანასკნელი მეცნიერის ისეთი ნიშანთვისებაა, ურომლისოდაც ნამდვილი მეცნიერი ვერ აღიზრდება.

ყველა ეს თვისება სრულად ახასიათებდა ახალგაზრდა მეცნიერსა და მკვლევარს კახა კერესელიძეს. ის იყო ბევრითი,



ყურადღებიანი, დაკვირვებული და გულისხმიერი. მას არ გამოეპარებოდა არა მხოლოდ ახალი იურიდიული ლიტერატურა, არამედ არც ერთი უმნიშვნელო საკანონმდებლო ცვლილება და მოსალოდნელი ინოვაციებიც კი.

ადმინისტრაციული სამართალი და განსაკუთრებით ადმინისტრაციული პროცესი იურიდიული მეცნიერების ისეთი სფეროებია, რომლებიც სისტემატურ საკანონმდებლო ცვლილებებს განიცდიან. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადმინისტრაციული სამართალი და ადმინისტრაციული პროცესი იურისპრუდენციის ახალი დარგებია საქართველოში, სადაც ევროპული დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუტები დიდი ზიგ-ზაგებით მიიკვლევენ გზას. ჩვენ ევროპული დემოკრატიული ადმინისტრაციული სამართალი ნაძალადევად მოვარგეთ პროსაბჭოურ, ნახევრად ფეოდალური საქართველოს სინამდვილეს, რამაც გამოიწვია საკანონმდებლო ბუმი ადმინისტრაციულ სამართალში.

სწორედ კახა იყო ისეთი ახალგაზრდა, რომელიც დაუყოვნებლივ აუღებდა ხოლმე ალლოს საკანონმდებლო ინოვაციებს ადმინისტრაციულ სამართალსა და პროცესში და თავისი შესანიშნავი წინადადებებით წარმოსდგებოდა ხოლმე ჩვენს წინაშე ადმინისტრაციული სამართლის თეორიაშიც შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

კახას სადისერტაციო კვლევის პრობლემას წარმოადგენდა აპელაციისა და კასაციის თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში. მახსენდება მისი მეცნიერული გულწრფელობით აღსავსე გულისწყრომა. იმის გამო, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეზე მხოლოდ სააპელაციო გასაჩივრება დაუშვა შესაძლებლად, ხოლო საკასაციო გასაჩივრება კი არ გაითვალისწინეს. კახას სიტყვებით რომ ვთქვათ, განა ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენი უფრო მეტად არ არის დასაცავი ადმინისტრაციული საკასაციო წესით, ვიდრე ის მოქალაქე, რომელიც მოითხოვდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემას და ასეთი აქტი არ გამოცეს, რითაც მას არაფერი დაუშავდა, თუმცა ვერაფერიც ვერ მოიპოვა...

კახასნაირი გაბედული და პრინციპული მეცნიერები

მ

კახა კარაიულიძე

სჭირდება დღეს საქართველოს, სწორედ კახას პირდაპირობა და მეცნიერულობა წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობისთვის. არადა, კიდევ რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო კახას, რამდენჯერ შეეძლო გაეხარებინა ჩვენი გულები იმ სწორი და გაბედული მეცნიერული წინადადებებით, რომელთაც იგი აყენებდა ქართული კანონმდებლობისა და მეცნიერების განვითარების მიზნით.

როგორი თავაზიანი და მორიდებული იყო კახა პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. ყველას უყვარდა იგი თავისი იუმორით და გონებასამახვილობით. არასდროს არ წარმოაჩენდა იგი თავის უპირატესობებს, ამბიციები მისგან შორს იყო. როცა ჩვენ აღვნიშნავდით მისი სტატიის თუ თეზისის სწორ და მართებულ ბუნებას, იგი თავს ჩალუნავდა და გაჩუმდებოდა.

კახას მრავალი დადებითი თვისებისა და სასიკეთო საქმეების შესახებ გაუთავებლად შეიძლება ილაპარაკო. იგი ყოველმხრივ დადებითი და უნაკლო ახალგაზრდა იყო...

სიკვდილმაც კარგის ამორჩევა იცისო, ამბობენ ხალხში და აი, კარგთა შორის საუკეთესო ამოირჩია მან კახას სახით. იგი ძალიან დააკლდა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს მეცნიერებას! ჩვენ კიდევ ბევრ სასიქადულო საქმეს ველოდით მისგან გარდა იმ სიკეთისა, რაც მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დათესა... მას დრო არ ყოფნიდა, მას დრო არ დასცალდა...

პროფ. ვალერ ლორია



კაცი ქართველია
ცოცხელია



მ

მოტივაცია მისი ასეთი აქტიური საქმიანობისა იყო მხოლოდ და მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტისადმი უდიდესი პატივისცემა და უანგარო სიყვარული

კახა კარაულიძე



უნივერსიტეტში, ჩემი, შეიძლება ითქვას, ხანგრძლივი საქმიანობის განმავლობაში მრავალ ახალგაზრდასთან მქონდა საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა. კახა მათ შორის ერთერთი გამორჩეული იყო. თავდაპირველად მან, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა და სტუდენტური ორგანიზაციის თავმჯდომარემ წარმოაჩინა თავი, ხოლო შემდგომ კი, ასპირანტურაში სწავლის წლებში, როგორც უნივერსიტეტის



სტუდენტური საბჭოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

მისი პიროვნული თვისებებიდან გამოვყოფდი კეთილშობილებას. ეს იყო სიკეთით სავსე ბიჭი, რომლის ყოველ ქმედებაში დიდი სითბო გამოსჭვივოდა. ამის გარეგანი გამოხატულება გახლდათ ღიმილი, რომელიც მის სახეს მუდმივად ამუქებდა.

კახას აქტიურობა უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაციაში, ცხადია, მოითხოვდა გარკვეულ ძალისხმევას, დროს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს არ ხდებოდა სწავლის ხარჯზე. იგი ნიჭიერი პიროვნება იყო, ამიტომაც აკადემიური მოსწრების მხრივაც წარჩინებული გახლდათ. აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ მოტივაცია მისი ასეთი აქტიური საქმიანობისა იყო მხოლოდ და მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტისადმი უდიდესი პატივისცემა და უანგარო სიყვარული.

კახას მსგავსი ადამიანები აუცილებლად არსებობდნენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მით უფრო, ისეთ სამართლიან, მაგრამ ზოგჯერ სუსხიან პროფესიაში, როგორც იურისტობაა. დასანანია, რომ კახას ბოლომდე არ მოუწია თავისი ქვეყნის სამსახური. მჯერა, რომ იგი ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა.

თეიმურაზ ხუროძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი

კახა კაკაულიძე

ეს კია, შენ სხვა მარადისობაში გაგაცილეს ცრემლით...

„სიკვდილ, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თვითონ რად არ მოჰკვდი,
თოვლივით მზზე რად არ დასდნი?
ვაჰმე! სიკვდილო, რა ყოფილხარ!“

ჩვენო კახა, ბიჭო, კახაბერ!

მოგონებას შენზე 1998 წლის 22 ოქტომბრის ლამაზი დღით დავიწყებთ... შენ მაშინ მე-11 კლასელი იყავი. შენი მშობლიური რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 სკოლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იყო. შენსავით გამორჩეულ რამდენიმე საუკეთესო მოსწავლესთან ერთად მიგყავდა ღონისძიება. იდექი სცენაზე ლამაზი ბიჭი ლამაზად, ანთებული, აბრიალებული და გადავსებული დარბაზიც გასუსული ისმენდა შენს ნათქვამს.

„დღემდეა თუმცა წყალნითელა სისხლით წითელი,
მომხდურს ქართველის არ უნახავს რადგანაც ზურგი,
მაგრამ, ჯერ კიდევ ღვთით შემოგვრჩა სისხლი იმდენი –
კვლავ რომ დავღვაროთ – დასჭირდება სამშობლოს თუკი.“
ვაი, რომ ჩვენი მაშინდელი ალტაცება ფრთაშეკვეცილი არნივის გაბრძოლება ყოფილა. ჩიტივით გაფრინდა შენი სიცოცხლე, ჩვენო ვაჟკაცო... ქვეყნის მსახურად გზრდიდით, მაგრამ სიკეთის და გრძნობის ხიბლით ზენაარით დაიმკვიდრე სასუფეველი.

გვიჭირს, ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი... დააკლდი მეგობრებს-თქო, რომ ვთქვათ, ცოტა იქნება... ყველას, ყველას დაგვაკლდი და უფრო მეტიც, იმედი მოგვიშალე შენი წასვლით, კახუნა... არა და რა უბრალოდ, უეცრად გიმსხვერპლა ბრმა შემთხვევამ; სადღაც გზის მოსახვევში ჩასაფრებულმა სიკვდილმა როგორ ნაგვართვა შენი თავი, ჩვენო „კრეჭია“ ბიჭო, ყველაფერს რომ სიცილში ატარებდი, დამნაშავეც კი რომ ილიმებოდი ხანდახან და საყვედურის თქმის საშუალებას გვისპობდი ხოლმე შენი ჩვეული, მორიდებული შემოხედვით. მაღალ კაცთა თვისება ყოფილა მსგ-



აესი ღიმილი.

მერე, სამართალმცოდნეობით დაინტერესდი და იურისტი გახდი, ალბათ მამის გენებმა იმძლავრა შენში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგტოვეს საუკეთესო სტუდენტი. მარტო შენი ტოლები კი არა, პროფესორებიც მოკრძალებით გექცეოდნენ თურმე... შენი ნაშრომები პრესაში იბეჭდებოდა და დღე-დღეზე გემატებოდა ცოდნაც და სახელიც, სახელიც და სიყვარულიც; რასაც თესავდი, ორმაგად იმკიდი კიდეც.. სასოებით ვადევნებდით თვალს შენს ყოველ ნაბიჯს, სიხარულით დაეფრინავდით მაშინაც, როცა ერთხელ ტელეეკრანიდან შენი თანატოლები დამოძღვრე კაცურკაცობის საზომით.

ან როგორ მოასწარი ასე პატარამ ამდენი... ან იქნებ დღემოკლეთა ხვედრია სიჩქრით სიკეთის კეთება. ალბათ საბედისწეროდ იყავი სულსწრაფიც და ფოთილაც, მაგრამ ამავე დროს საქმიანი, ფიქრიანი, უღალატო და ნათელი, სხივმფენი და შუქიანი...

ნეტავ რაში გადასახლდა შენი მშვენიერი სული, ჩვენო კახაბერ, იქნებ სწორედ მზემდე იარა და მზის სხივად დაგვიბრუნდა დედამიწაზე, იქნებ ამიტომ არის, მზის ყოველი ამონათება შენს თავს რომ გვაგონებს და აქ კი, მართლაც უძღურია ყოვლის მძლეველი სიკვდილი, სხეულს რომ ისაკუთრებს და სულს ვერანაირად ვერ ფლობს ადამიანისას. შენთანაც ხომ ასე მოხდა...

მართლაც, გაძლება უნდა ჭირსო, – უთქვამთ ბრძენთ. ბოძგამოცლილი კი გვინახავს ყველას სახლი თუ საბძელი, თუნდაც რკინის ყოფილიყოს იგი, მაინც რჩება იმედი ახალი ბოძის შეყენებისა. ასეა ამჯერადაც... ერთი ბოძი გამოეცალა შენს შერჩეულ ლამაზ სახლ-კარს, თორემ მეორე, შენსავით ძლიერი ვაჟკაცის – შენი საამაყო ძმის, პაპუნას მხრებზე დგას ისევ.

შენს მშობლებს, რუსთაველთა საყვარელ ადამიანებს, ქალბატონ ნანასა და ბატონ ჯაბას, ჭირთათმენის საოცარი უნარი რომ გამოიჩინეს, ჩუმად, უთქმელად რომ იღვენებუიან და ცრემლს რომ უმაღავენ ერთმანეთს, იმაშიც არ ჰქონიათ ბედი, რომ შენი მსგავსი გოგო-ბიჭები ვერ დაუტოვე საწუგე-

კახა
კახალაძე
ციცი

მ

შოდ. ისე ნახვედი, სიყვარულიც ვერ მოასწარი, არ დაგცალდა ყოფნა ამ ცისქვეშეთში.

ეს სურათი, ჩვენო კახა, სწორედ მაშინ არის გადაღებული, როცა სკოლის საიუბილეო სალამოზე შენთან ერთად მდგარი ნატო და თათია, ლევანი, გიორგი და დავითი, შაკო, თინიკო, რომა და გივი სცენიდან თითქოს მარადისობისკენ იყურებიან. ეს კია, შენ სხვა მარადისობაში ვაგაცილეს ცრემლით შენმა მეგობრებმა, აღმზრდელებმა, მთელმა რუსთავმა... სამაგიეროდ, დაგვრჩა უსაშველო სევდის მატარებელი ხსოვნა გულით, სიამაყით რომ ვვატყმევინებს შენს მასწავლებლებს:

„ჟამი, ო, ჟამი ყველამ იცოდეს,
ვერ მოგერევა ასე ადვილად,
ჩვენს აღზრდილებში, შენი სიცოცხლე
მზის ჩანჩქერით გადაბარდნილა“.
ბრალია, შენი სიკვდილი, ბიჭო...

ბელა ჯანგიძე – გოცირიძე, ლია კუცია,
მანანა ლარიშვილი, ნატო ლეკვეიშვილი,
ელისო გოგოლიძე, რუსიკო აბაშიძე,
ქეთევან გაგოშიძე, თალიკო ჯაველიძე,
ეთერ ხარბედია, თინა სეთურიძე.
15 დეკემბერი, 2007 წელი.



საქართველოს
სამედიცინო უნივერსიტეტი

მ

თითქოს იცოდა, რომ მეტს ველარ გენახავდა...

კახა კარსელიძე

კითხვა რომ დასვათ, როგორი იყო კახა? - მისი მეგობრები გიპასუხებთ, რომ იგი თბილი და საოცრად სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო. თუმცა მის შესახებ ამის თქმა ყველას შეუძლია, ვინც მას იცნობდა, რადგან არ შეიძლებოდა მისი სახის გამომეტყველებიდან არ მიმხვდარიყავით რამხელა სითბოს მატარებელი იყო. კახა სამეგობროს სულ და გული იყო. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ჩვენთან ყოფნას ვერ ახერხებდა, ჩვენი შეხვედრები ისეთი აღარ იყო, გვაკლდა მისი გულიანი სიცილი, ხუმრობა. რამდენი კურიოზი გვაქვს გასახსენებელი. მისით ვამაყობდით, ვფიქრობდით, რომ რაც დრო გაივლიდა, უფრო მეტი სიამაყის საბაბს მოგვცემდა. თავისი ენერგიულობით და ჭკუით წარმატებებს რომ მიაღწევდა, ეჭვი არ გვეპარებოდა. მაგრამ დადგა 2005 წლის აგვისტო... საშინელი, მოულოდნელი ტრაგედია დაგვატყვდა თავს ყველა მის უახლოეს მეგობრებს, როცა დაგვირეკეს და კახას დალუპვის ამბავი შეგვატყობინეს. ძარღვებში სისხლი გაგვიჩერდა, ალბათ ხუმრობენ-თქო, ისიც კი ვიფიქრეთ, მაგრამ საუბედუროდ, ეს სრული სიმართლე იყო.

გვიჭირს ფურცელზე გადმოვიტანოთ მაშინდელი განცდა, რაც დაგვეუფლა... ყველაფერი ერთ წამში თავში დაგვიტრიალდა, მასთან ერთად გატარებული თითოეული დღე, მისი მუდამ მომლიმარი სახე, მისი იუმორი და რაც მთავარია, მისი უსაზღვროდ დიდი სიყვარული.

გვინდა ძალიან ბევრი დავწეროთ, ბევრი რამ გავიხსენოთ, მაგრამ გული კვლავ არ გვიშვებს, არ გვემორჩილება - კახა წარსულად გავიხსენოთ... ეხლაც ვერ ვეგუებით იმ ფაქტს, რომ იგი ჩვენს გვერდით აღარ არის და ჩვენ მასზე მხოლოდ წარსულში ვსაუბრობთ.

მიუხედავად ყველაფრისა, გვინდა კახასთან ჩვენი ბოლო შეხვედრა გავიხსენოთ. ყველანი შევიკრიბეთ, ვგვემავდით ვინ სად ვაპირებდით დასვენებას, მერე კი მცხეთაში წავედით. კახას უახლოესი მეგობრები ერთად ვისხედით და აშკარად



ვგრძნობდით, რომ ვილაც გვაკლდა, ვილაცის ღიმილი, იუმორი გვენატრებოდა. დატვირთული გრაფიკის გამო თავად მოგვიანებით მაინც შემოგვიერთდა. სუფრა უცებ გახალისდა. კახა ყოველთვის თბილი იყო, მაგრამ იმ დღეს ყველა ჩვენთაგანს განსაკუთრებულად თბილი მოგვეჩვენა, ძალიან სათუთად გვექცეოდა, უხაროდა ჩვენთან ყოფნა, გვესიყვარულებოდა. თითქოს გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას და გვემშვიდობებოდა... თითქოს იცოდა, რომ მეტს ველარ გვენახავდა.

მისთვის მართლაც წამიერი აღმოჩნდა წუთისოფელი. გარდაცვალებაზე ყოველთვის თბილად საუბრობენ, მაგრამ კახასთვის სითბო და სიყვარული არავის არ დანანებია მის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც. დღე ისე არ გავა, რომ მის მეგობრებს თავი არ შეგვახსენოს მისმა სიყვარულმა და მონატრებამ. ალიან ადრე განგვაცდევინა მეგობრის დაკარგვის სიმწარე. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა მოსაგონარი ბევრი დაგვიტოვა, და საოცარი ის არის, რომ როცა მასზე ვლაპარაკობთ, ცრემლის ნაცვლად ღიმილით ვიხსენებთ.

უნივერსიტეტული მეგობრები

“თუ რამე გაწყენინეთ, მაპატიეთო” - გეწერდა... სიკვდილის წინ ყველას პატიება გეთხოვია...

ძალიან ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც მუდამ ჩვენს გვერდით იყო. უამრავი რამ გადაგვხდენია თავს მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, მაგრამ რთული ყოფილა ამ ყველაფრის ქალღმერთად გადმოტანა. განსაკუთრებით თბილად გვახსენდება ჩვენი ბოლო შეხვედრა, კახას გარდაცვალებამდე სულ ორი კვირით ადრე.

ჩვეული თბილისური ზაფხულისაგან შეწუხებულებმა მცხეთას მივამოურეთ, რა თქმა უნდა, კახაც ჩვენთან ერთად

ქაბა ქარაულიძე

იყო, გოგოები ზღვაზე ვაპირებდით ნასვლას და გამგზავრებამდე ერთად შეკრება გადავწყვიტეთ. კახას, როგორც ყოველთვის, უამრავი საქმე ჰქონდა და არ ეცალა, თუმცა ჩვენმა დაჟინებულმა თხოვნამ თავისი ქნა და სულ ცოტა ხანში ყველანი ერთად ვიყავით მცხეთაში. იმ საღამოს განსაკუთრებით თბილი იყო, რა თქმა უნდა, არც იუმორი აკლდა. ისეთი სისწრაფით გაირბინა დრომ, რომ ვერც კი შევამჩნიეთ ისე ჩამოგვალამდა. დიდი სიყვარულით დაგვემშვიდობა, ბათუმში აუცილებლად გინახულბოთო, - დაგვირდა და ასე დავშორდით ერთმანეთს... ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იქნებოდა... მცხეთიდან წამოსულებმა ყველამ ერთნაირი შინაარსის შეტყობინება მივიღეთ - "თუ რაზე განწყენიეთ, მაპატიეთო" - გვწერდა... გაგვეცინა, ვერც კი მივხვდით, რას გულისხმობდა... ისე გამოვიდა, თითქოს სიკვდილის წინ ყველას პატიება გვთხოვა...

უნივერსიტეტული მეგობრებისაგან:
ელზა ჩაჩანიძე
შორენა გაბიანი
თამუნა გარდაფხაძე
ხათუნა ლორია
ირაკლი ჩადუნელი

UNICEF IN GEORGIA
2003

CHILD PARTICIPATION
The UNICEF Commission on the Status of Women...
The Commission on the Status of Women...
The Commission on the Status of Women...
The Commission on the Status of Women...



კახა კახიანიანი

მ

კახა კერაულიძე

რა ნუგეშსაც არ უნდა ვუსმინოთ შვილო, ეს იცოდე – გაუნელებელი წუხილი ხარ ჩვენი!

შვილო, დიდი იყო ამ ქვეყნიდან შენი მოვლენით გამოწვეული სიხარული, ჩვენთან ერთად ხარობდა ყველა ნათესავი, ახლობელი და მეგობარი, იყო უამრავი მოლოცვა... ჩვენ მაშინ, დროებით, მოსკოვში ვცხოვრობდით. 26-ე სამშობიაროდან დამირეკეს და მახარეს - “**Аәәäää Näðäääääëþ, ꞑčäðääëÿäi ñ ð äëääíëäi ñüía! Íáñðíÿùëë äðöçëi ðíäëëüñÿ!**” მართლაც მამიკო, შენი ცხოვრების ამ მოკლე მონაკვეთში, სულ 24 წელი, სამი თვე და 25 დღე, იცხოვრე, ნამდვილად დაამტკიცე ქვმარიტი ქართველობა, მამულისადმი სიყვარული და პატრიოტიზმი და არა მარტო მამულისადმი არამედ შენი მშობლიური უნივერსიტეტისადმი, რაზეც 2003 წლის ნოემბერში უნივერსიტეტისადმი განვითარებული მოვლენებისადმი შენი დამოკიდებულების გახსენებაც საკმარისია და რასაც შენი პროფესორ-მასწავლებლების აქ დაბეჭდილი შენდამი მოძღვნილი ხსოვნის წერილებიც ადასტურებენ. ერთ-ერთ შენს სტატიაზე ნამძღვარებული ეპილოგის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ – რამდენი რამ დაგრჩა შვილო კიდევ განუხორციელებელი, სულ ჩქარობდი, ყველაფრის მოსწრება გინდოდა, თითქოს გრძნობდი რალაცას. მახსოვს ჩემს შენიშვნაზე შენთვის დამახასიათებელი გაბადრული ღიმილით მითხარი - „ნუ გეშინია, მამა ცხოვრება იქ არის, აბა აქ რააო?!“ მე კი მეშინოდა და ვაი, რომ ამიხდა... პაპუნასთვისაც ასე გიპასუხია თურმე სიზმარში - „რა ვატირებთ თქვე საწყლებო, სატირალი თქვენ ხართ, რა იცით აქ რა ცხოვრებააო.“

ღმერთმა ულხინოს შვილო, შენს სპეტაკსა და კეთილშობილ სულს... თავზარდამცემი იყო შენი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი, გაოგნებულები იყვნენ ყველა შენი თანაკლასელი და უნივერსიტეტელი მეგობრები, პედაგოგები და ლექტორები, შსს შენი ნაცნობი თანამშრომლები, სადაც სულ რამდენიმე თვის დაწყებული გქონდა მუშაობა. ქუთაისის ერთ-ერთი სა-



კახა კურაძე

საქართველო

ავადმყოფო, სადაც შენი ცხედარი ესვენა, საესე იყო შენი მეგობრებით და იქაური ნათესავებით. შეეტყვოთ თუ არა შენი დალუპვის შემზარავი ამბავი, უმალ იქ გაჩენილან, მაგრამ ვერ გიშველეს, ჩვენ კი დაგვიმალეს რეალობა, საავადმყოფოში-აო. ოჰ, რა ტკბილი ყოფილხარ შვილო და რა მწარეა უშენობის განცდა. მხოლოდ ბატონ ოთარ გოგოძის საუბარი მიმანიშნებდა, რომ რალაც უბედურება იყო ჩვენს თავს. პირდაპირ ვერც მან გაბედა რეალობის გამხელა, ისე გამოგვაცილა მე და ჩვენი რეზო ქუთაისისკენ. არადა, როგორი გასამხელი იყო, ეხლა მესმის მისი, თვითონაც ხომ მამაა და გაუჭირდა ალბათ.

საავადმყოფოში კი იყავი, შვილო და გნახე, მაგრამ ვაი, იმ ნახვას – შენს ლამაზ სახეს კიდევ ღიმილის იერი დაჰკრავდა... არ ვიცი, რით იყო გამოწვეული ეს, ამ ცხოვრებიდან წასვლის სინანულით თუ მარადისობაში გადასვლის სიამოვნებით (სიხარულით). მიმძიმს, მამიკო, ამის გახსენება და მაპატიე, დედაშენსა და პაპუნას, რომლებიც უკან გამოგვყოლიან, დავუმალე შენი მდგომარეობა... ისე წამოგიყვანე იქიდან, რომ გზად შეხვედრილებს არ გაუჩერე მანქანა, რათა ცოტა ხნით

მ

კახა კერესელიძე

კიდევ გამეხანგრძლივებინა მათთვის იმედი, თუმცა, ალბათ, ისინი უკვე გრძნობდნენ ავის მოსწავებას.

იმედად ისლა დაგვრჩენია შვილო, რომ ძლიერ ყვარებისხარ ყველას, რამდენი სითბო და სიყვარული დაგიტესია თურმე ამ მოკლე ხანში, თუმცა არაა გასაკვირი, - შენ ხომ გამორჩეული იყავი, როგორც სწავლით, ისე აქტიური სტუდენტური საქმიანობით და ამიტომაც იყო ალბათ, რომ ერთხმად აგირჩიეს და განდეს ფაკულტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის ხელმძღვანელობა, პირველს მოგენიჭა ჩვენი ყველასათვის საყვარელი პროფესორის სულმნათი სერგო ჯორბენაძის სახელობის სტიპენდია და ა.შ. ყოველნაირად შემოკობილი იყავი შვილო, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით.

„გამაგრდი ჯაბა, კახუნა (ასე მოფერებით მოგიხსენიებენ მამიკო) მარტო შენ კი არ მოგიკვდა, ის მოგიკვდა ჩვენ ყველას, ფაკულტეტსაც და უნივერსიტეტსაცო, ის ჩვენი შვილიც იყოო“ - მანუგეშებენ შენი პროფესორ მასწავლებლები და მეგობრები, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ შენზე... „ორგანიზატორული ნიჭით და ლიდერის თვისებებით იყო დაჯილდოვებულიო“ ... სამშობლოს პატრიოტი და უნივერსიტეტზე შეყვარებულიო, უანგარო და ერთგული მეგობარიო, მაგრამ რა ნუგეშსაც არ უნდა ვუსმინოთ შვილო, ეს იცოდე - გაუნელებელი წუხილი ხარ ჩვენი! იმედად შენი უმცროსი ძმა პაპუნა გვყავს შვილო. ღმერთმა დალოცოს, რომ უშენოდ დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი, თუმცა შენი მეგობრები უყურადღებოდ არ ტოვებენ მას და მასთან მეგობრობით ივსებენ შენს დანაკლისს, ტოლს არც თვითონ უდებს, არ გარცხვენს.

ნათელში იყოს შენი სპეცაკი სული, შვილო. შენ ხომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყავი, წმინდანთა ცხოვრების კითხვასა და ლოცვაში ატარებდი დიდ დროს. ნიშანდობლივია, რომ შენს მანქანაში, ავარიის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად შანხაისა და სანფრანცისკოს მთავარეპისკოპოსის იოანე (მიხეილ) მაქსიმოვიჩის ქადაგებანიც ნახეს. ვინ იცის, რა სულიერი ძალა გაკავშირებდა მასთან, ისიც ხომ იურისტი იყო, პედაგოგი და იმავე დროს ღმრთისმსახურებისთვის თავდადებული და ახალგაზრდობის სულიერი მოძღვარი. შენც ხომ ემზადებოდი ლექ-



ტორ-პედაგოგობისთვის, ასპირნტურას ამთავრებდი და ფოკაში ვინდოდა ბერმონაზვნებთან წასვლა და იქ რამდენიმე ხნით დარჩენა, მაგრამ მე გამინიე ხათრი და... ვაი, ჩემს თავს... იქნებ, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. ეს კია შვილო, შენი დალუპვის დღიდან ჩვენ ყველანი შენზე ვლოცულობთ, შენს თავს ვავედრებთ უფალს, რომ სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს. დედაშენი სულ გაჭალარავდა შვილო დარდ-ისაგან, გახსოვს ჭალარა თუ გამოერეოდა, იმ წუთას მოიშორებდა - „კახუნას საცოლემ არ დამინუნოს, მოხუცი დედა ჰყოლიაო“... მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ მოგვასწარი შენს ბედნიერებას. არცერთი დღე არ სტოვებს შენს საფლავს, სამნუხაროდ, მაგრამ მრავალ სხვა მგლოვიარე დედასთან ერთად სისტემატურად ლოცულობს სხვადასხვა ეკლესიამონასტრებში, წაგტოისშიც ჩადის მეუფე ზენონთან და შეკვეთილ წირვას აღავლენს იქ, შენს თავს ავედრებს უფალს. ყოველდღე შენთანაა, რომ მარტოობა არ იგრძნო... გესაუბრება, ეალერსება და ელოლიავება შენს სამუდამო სამყოფელს. შენ ხომ გსურდა, ვაკეში ან საბურთალოზე ცხოვრება. ვაი, რომ უცნაურად აღსრულდა შენი ეგ ლტოლვა და ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე დაიდე ბინა. ჩვენც შენთან ვართ ყოველთვის შვილო, შენ კი ჩვენთან, შეუძლებელია შენი დავინწყება.

ხილვა მქონდა, შვილო, ერთხელ სახლში და ერთხელაც ქ. რუსთავში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში შეკვეთილი წირვისას, რამაც 90-ე ფსალმუნიდან ერთ-ერთი პასაჟი გამახსენა „არა შევიდეს შენდა შური და გუემაი არა მიეახლოს საყოფელითა შენთა, რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის დაცვაად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა; ხელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხნი შენი; ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ მე მესვიდა და ვიხსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი.“ თეთრი ქათქათა ანაფორა გეცვა, ზეცისკენ აღპყრობილი კიბესავით მიმართული მაჯებამდე თეთრით დაფარული თეთრ მანდილიანი ქალბატონების უამრავი მოძრავი ხელი ჩანდა, თითქოს ანგელოზთა გუნდიაო



კახა კერასულიძე

და ასე ხელიდან ხელში ციმციმ აჰყავდი მათ მაღლა-მაღლა, შენ უხერხულობდი, ღიმილით დასცქეროდი მათ და ხელსაც აშველებდი, ხოლო ჰორიზონტზე, ლურჯი ცის კამარაზე, ალაგ-ალაგ თეთრი ქულა ღრუბლებით დამშვენებულ საგარძელში იჯდა თეთრ ანაფორაში შემოსილი, ქათქათა თეთრი თმებითა და წვერით შემკობილი ლამაზი მოხუცი, წარმოვიდგინე მამალმერთი, რომლის წინ უამრავი ადამიანი იდგა, რიგრიგობით თაყვანს სცემდნენ მუხლებზე დაჩოქილი და კალთაში თავჩარგულნი. მან შენ მარჯვნივ მოგისვა, მრევლი შენც გემთხვეოდა კალთაში თავჩარგული. შენ ჩვეული ფართო ღიმილით უცქერდი მათ და თითქოს გეუხერხულებოდა კრძალვით ეხმარებოდი წამოსადგომად, გამიკვირდა რა თქმა უნდა, უცებ შენ გიხილე იმ მოხუცის კალთაში თავჩარგული და დაჩოქილი, ის კი თავზე გისვამდა ხელს ნაზად. შემდეგ შენ, თეთრ ანაფორაში შემოსილი, მენამული ფერის არმიით შემკობილი, გაღიმებული გამოხვედი მის ზურგსუკნიდან, მარცხენა მხრიდან, ფართო ნაბიჯებით მომავალმა დიდი ჯვარი-ჯოხით ხელში, ჩაუარე მას, რა დროსაც ქათქათა თეთრი ღრუბლები თუ თეთრ სამოსში გამონყობილი მრევლი შუა იყოფოდა, გზა გითავისუფლდებოდა და მარცხნივ და მარჯვნივ მოკრძალებული თავდაკვრით მიმავალი გაუჩინარდი... შეწყდა გამოცხადება... რუსთავის ეკლესიაში კი ზემოდან, თალიდან გადმოხვედი ისევე თეთრ ანაფორაში ჩაცმული, მენამული ფერის არმიით შემკობილი მომღიმარი, თითქოს მოფრინავდი კი არ მოაბიჯებდი... როცა ამის შესახებ ვუამბე მღვდელთმსახურთ, რომელთაგან ზოგი შენი ნაცნობიც აღმოჩნდა, მანყნარებდნენ – მიღებული ჰყავს უფალსო და არაფერი უჭირსო. ჭეშმარიტად, შვილო, ნათელში გამყოფოს ღმერთმა და დაგიმკვიდროს სასუფეველი.

ამასაც გეტყვი შვილო - სახლში შენი კუთხე გვაქვს ხატებით განყოფილი, სადაც შენთვის ვლოცულობთ ყოველდღე. ეკლესიიდან შენი მოტანილი, ნახევრად ჩამწვარი სანთელი ავანთე და ლოცვის შემდეგ თითებით ჩავაქრე. მეორე დღეს, ასანთებად რომ მივედი, საოცარი რამ ვნახე... პატრუქის თავზე ჯვარი იყო გამოსახული! დიდხანს ვინახეთ, მაგრამ დაზიანების შეგვეშინდა, ამიტომ მოვახერხე და სურათი



გადავუღე, ჩარჩოში ჩავსვი, ნაკურთხია და სხვა ხატებთან ერთად დევს, ის სანთელი კი ბოლომდე დაინვა... რამდენჯერ ჩაუქრიათ სხვებსაც თითებით სანთელი, მაგრამ ყველას გაუკვირდა პატრუქზე ჯვრის გამოსახვა. ესეც შენი დიდი ღმრთისმოსაობის და მაღალი რწმენის დამადასტურებელია შვილო და იმედს გვისახავს, რომ შენი სული ნათელშია.

ძალიან გვიჭირს შვილო, უშენობა... ამიერიდან, ან უკვე გარდასული სამზეოდან შენ შეუერთდები შენს გენეტიკურ წინაპრებს, ახლობლებს და მეგობრებს. მჯერა, თქვენი ეს ახალი ერთობა ისეთივე კეთილი იქნება, როგორც ამქვეყნად იყო. სიკეთისა და მეგობრობის შენეულ საარაკო ნიჭზე, ყველაზე რომ იყავი გადაგებული, ხშირად იხსენებენ ჩვენი ნათესავები, ახლობლები, შენი თანასკოლელი, უნივერსიტეტელი და სამსახურის მეგობრები, ნაცნობები.

2005 წლის 7 აგვისტოს შემთხვევა ტრაგიკული იყო ჩვენთვის, მაგრამ ალბათ უფლის ნებაც იყო, რათა შენი ხსოვნის უკვდავება და მარადისობაში გადასვლა მომხდარიყო...

გემშვიდობებით ამქვეყნიდან კაცურად წასულს უკეთეს სამყაროში და შევთხოვთ უფალს შენი სულის მას თანა დამკვიდრებას!

კაკა კაკელიძე

მ

ჩემო სიცოცხლე, სიკვდილი შენ გამიადვილე...

კახა კახიანი

შეილო, რაც მამაშენმა თავისი მორიდებულობის გამო ვერ დაწერა, მე შევავსებ. შენ ხომ ისეთი შვილი იყავი, როგორსაც ყველა მშობელი ნატრობს და ოცნებობს. თავიდან დავეიწყოთ: გამორჩეული ბავშვი იყავი, საოცრად ცელქი, მაგრამ ზრდილობიანი, ძალიან, ძალიან კეთილი. ჩემო სიცოცხლე... ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ ახლა მხოლოდ წარსული დაგვრჩა შენგან. დედიკო, ჩვენ ხომ განსაკუთრებული დედა შვილობა გვქონდა ჩემო სიამაყევ... სკოლაში ყოველდღე მოვდიოდი შენთან, მაშინაც კი, როცა დიდი იყავი და მიმტკიცებდი აღარ მჭირდებაო... მიხაროდა სკოლაში მოსვლა, რადგან ვინც კი შემხვებოდა, სკოლის დარაჯი, დამლაგებელი, მასწავლებელი თუ ვინმე სხვა, შენზე აღფრთოვანებით მელაპარაკებოდნენ. შენს ნიჭიერებაზე, შენს თავაზიანობაზე და შენს ბეჯითობაზე მესაუბრებოდა ყველა... ფრთაშესხმული დავდიოდი! შემდეგ იყო უნივერსიტეტი, რომელიც ასევე ნითელ დიპლომზე დაამთავრე და ადმინისტრაციული სამართლის კათედრაზე დაგტოვეს თანამშრომლად. თან ასპირანტურაში ჩააბარე და დიდი მონდომებით ამუშავებდი თემას პროფესორ ვალერიან ლორიას ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტშიც გამორჩეული იყავი როგორც სწავლით, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყავი ახალგაზრდული პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, სტუდკავშირის თავმჯდომარე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის წევრი. უნივერსიტეტში მამაშენი ამაყობდა შენი კარგი კაცობით. გახსოვს, რომ შემომჩვილე - "მამიკოს უთხარი, უნივერსიტეტში რომ შემხვდება, ნუ მეფერება, პატარა ბავშვი აღარ ვარო. მამაშენმა კი მიპასუხა, - "რომ შემიქებენ, რა ჭკვიანი, რა გონიერი და რა ზრდილობიანი არისო, მინდა რომ მოვეფერო და ის არ მაფერებინებსო..." საღამოს რომ დაავგიანებდი, მეუბნებოდა, დაურეკე ბავშვს, მოვიდეს, მენატრებაო... ეხლა კი ოთხი წელი გავიდა... უსაშველოდ გვენატრები, გვაკლიხარ და გაუსაძლისია ჩემო სიხარულო, უშენოდ ცხოვრება... ჩემო



კახა
კაკაულიძე


ნანატრო შვილო, ჩემო ასრულებული ოცნებავ...
 ჩემო დაუდგომელო, ჩემო მოუსვენარო შვილო... ფრიადზე
 სწავლასაც ასწრებდი, მეგობრებთანაც გართობას, ეკლესიურ
 ცხოვრებასაც, პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ მონაწილეობასაც.
 პირველი კურსიდან ყოველ წელს მონაწილეობდი
 კონფერენციებში და ყოველთვის იმარჯვებდი. ახლა შენი
 დიპლომები შენი წიგნების კარადას ამშვენებს შენს
 სურათებთან ერთად, შენი მაგიდა ისევ ისევ წიგნებით სავსეა,
 როგოც შენ დატოვე... მხოლოდ შენი ბოლო სტატია დაემატა,
 რომელიც ჟურნალში „ადამიანი და კონსტიტუცია“ დაიბეჭდა
 და რომელზეც ძალიან ნერვიულობდი, რატომ აქამდე არ
 დაიბეჭდაო. ის კი დაიბეჭდა, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ შენ
 ვეღარ ნახე... რა ბედნიერი და ამაყი ვიყავი, როცა გამოცდებზე
 გაგიშვებდი და ერთ საათში დამირეკავდი: პირველი გავედი
 გამოცდაზე, ხუთიანი მივიღე და სალამოს შემაგვიანდება,
 ბიჭებთან ვიქნებო... შენ ხომ უსაზღვროდ დაუზარელი იყავი,
 თუკი ვინმეს შენი დახმარება სჭირდებოდა, თავს არ დაზოგ-
 ავდი და მაინც დაეხმარებოდი. ჯერ კიდევ სტუდენტს
 აბიტურიენტებიც გყავდა - ისევ შენი მეგობრებისა და კურს-

ელების ახლობლები... რა მონდომებით ამეცადინებდი მათ... ჩემო უკვე 28 წლის ბიჭო, ნეტავ როგორ ხარ ახლა? შენ გენაცვალოს შენი დედის სიცოცხლე, მაგრამ ვაი, რომ ვერ გენაცვალე. დედიკო რა ამაყი ვიყავი მაშინ, როცა შენი სტატია დაიბეჭდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“... ჩვენი ქვეყნის პროფესორებისა და აკადემიკოსების გვერდით... შენ ხომ მაშინ მხოლოდ 22 წლის იყავი, შვილო... რა ბედნიერი და ამაყი ვიყავი მაშინ, როცა გერმანიაში კონფერენციაზე გაემგზავრე, რა ამაყი ვიყავი მაშინ, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კონკორდატს ითხოვდი და მიტინგებს მართავდი შენს მეგობრებთან ერთად... ამაყი ვიყავი მაშინაც, როცა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას ითხოვდი და მიტინგებს მართავდით. დედიკო... მე შენით სულ ამაყი, ბედნიერი ვიყავი, დედიკო... გახსოვს? რა ბედნიერი დაბრუნდი კაბადოკიიდან, მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებთან და „ქართული ხმების“ ბიჭებთან ერთად რომ იყავი, ემოციებით და შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდი და კიდეც გინდოდა იქ გამგზავრება... მაშინაც რა ბედნიერი იყავი, როცა კავკასიონი დალაშქრეთ და ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს იურიდიული ფაკულტეტის სახელი უწოდეთ! დედიკო, რომელი ერთი ჩამოვთვალო... 2005 წლის 7 აგვისტომდე ჩვენ ხომ სულ ბედნიერი ვიყავი... დედა გენაცვალოს, ჩემო სიცოცხლე... ჩემო ჭკვიანო ბიჭო! სულ მოძრაობდი, სულ მეგობრებში იყავი, გთხოვდი, თავს გაუფრთხილდი, თორემ შენ რომ რაიმე მოგივიდეს, თავს მოვიკლავ-მეთქი, რატომ გეუბნებოდი ამას, ალბათ ვგრძნობდი, რაც დატრიალდებოდა ჩვენს თავს?.. დედიკო შენ იცი, როგორ მრცხვენია შენი, რომ ვერ შეგისრულე ეს დანაპირები, მაგრამ პაპუნა შემეცოდა, ის შენც ხო ძალიან გიყვარს! ისე, ჩემო სიცოცხლე, სიკვდილი შენ გამიადვილე, რადგან სადაც შენ მეგულები, ის ჩემთვის საოცნებო ადგილია და უფალი, ალბათ, მალე შეგვახვედრებს ერთმანეთს...

დედიკო, რომ იცოდე, შენი მეგობრები, კლასელები, კურსელები არ გტოვებენ უყურადღებოდ, არც შენს სამყოფელს



და არც ჩვენს ოჯახს, პაპუნას შენს მაგივრობას უწევენ... როგორ უყვარხარ ყველას, დედა გენაცვალოს, მოუთმენლად ველი შენთან შეხვედრას, იქნებ უფალმა ეს მალე ინებოს. დედიკო, შენ ჩემგან არ წასულხარ, ჩვენ ახლაც ერთად ვართ, სიზმარშიც ხშირად მოდიხარ ჩემთან, ისევ ისევ ვეხვევით ერთმანეთს, როგორც ადრე, დედიკო... ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შენი სული უფალმა ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს... ნახვამდის, მალე შეხვედრამდე...



კახა კაკაულიძე

გ

ქაბა ქერასულიძე

ჩვენ უშენოდაც გვეყვარება ის, რაც შენში გვეყვარდა

„მე ჯერ არ ვიცი, რას დავწერ შენზე, ისე, უაზროდ დავყურებ ფურცელს, დავყურებ ფურცელს და სიტყვებს ვეძებ, რომლებიც სხვებსაც მოხვდებათ გულზე. შენს სახელს დავწერ! მერე ნალღველი თვითონვე იტყვის გულს რაიც უჭირს. რჩება ქალღღზე შენი სახელი, ვით ველზე ვარდის ეული ბეჭი.“



ჰო, დიდხანს, ძალზე დიდხანს დავყურებდით ფურცელს და მოძალებული სევდიანი მოგონებების მორევში ვცდილობდით მოგვეძებნა სიტყვები, რომლებიც ოდნავ მაინც გადმოსცემს იმ ტკივილიან მონატრებას, შენი სახელის ხსენებაზე რომ გვეუფლება უშენობით დაობლებულ საქმოს. დაბნეულები შევცქერით ერთმანეთს შენი ძმები, ნიჭი არ გვეყოფნის და სიტყვა არ გვიჭრის, რომ გამოვხატოთ ჩვენი შენდამი სიყვარული –



უკიდევანო, უსაზღვრო სიყვარული. ღმერთმა ხომ სწორედ შენ გამოგარჩია ჩვენ შორის და უხვად და უშურველად მოგმადლა მრავალმხრივი ნიჭი: ნიჭი სიყვარულისა, ნიჭი ვაჟკაცობისა, ნიჭი სრულქმნილებისა.

არიან ადამიანები, რომლებიც იმთავითვე რჩეულებად იბადებიან. რჩეულთა ხვედრია სწორედ, რომ მათ მიერ განვლილი ცხოვრების გზის ნაკვალევზე თაობებმა იარონ. განვლილი ცხოვრების გზა – თითქოს ხანგრძლივად ჟღერს, არადა შენთვის ხომ ასე ხანმოკლე აღმოჩნდა – სულ რაღაც 24 ნელზე ცოტა მეტი, მაგრამ საკმარისი იშისათვის, რომ ყველა ჩვენგანის გულში ერთად გამოუთქმელი გრძნობით სავსე სავანე დაგემკვიდრებინა.

შენი საძმო აღარ არის ისეთი ლალი, ხალისიანი და უდარდელი, კახუნა... უზომოდ გვაკლია შენი საოცრად თბილი და ალერსიანი ღმრთობა. გვენატრება შენთან ყოფნის დაუვიწყარი დღეები, შენთან კამათი და მეცადინეობა, გვენატრება შენი თამაშობა, შენთან ერთად მოღებვა და ქეიფი.

დაგვაკლდა სიცოცხლე, რომელსაც უნდა ებრწყინა და ეკაშკაშა, მაგრამ მხოლოდ გაიღვია... სამაგიეროდ, ეხლა ბრწყინავს სასუფეველში და მისი ნათელი სული გვმფარველობს ზემოდან და გვიკაფავს გზას ჭეშმარიტების ძიებაში.

ჩვენ მხოლოდ ეხლა ვაცნობიერებთ, რომ ხშირად განგვიცდია მონატრების გრძნობა, მაგრამ მხოლოდ შენი ნასვლის შემდეგ ვიგრძენით, თუ რაოდენ მტკივნეული ყოფილა ეს გრძნობა. იმდენად მტკივნეული, რომ სიმწრისგან გამოჟონილი ცრემლები აღარ გვეთაკილება...

ჩვენ საოცრად გვეამაყება, რომ შენი ძმაკაცები გვქვია! შენ გვასწავლე, რა არის სიყვარული, ერთგულება, ნამდვილი ვაჟკაცობა. თუმცა, შენვე გვასწავლე, რა არის სინანული, ტკივილიანი მონატრება... გვასწავლე ლოცვა... სწორედ შენ გვასწავლე, რომ უფლისკენ მიმავალ გზაზე შენი ნავალი ბილიყებით უნდა ვიაროთ, რამეთუ ეს ბილიყები შენ პირველმა აღმოაჩინა შენი გასაოცარი სიყვარულის ნიჭის წყალობით.

ხედავ? განგებამ წაგვართვა შენი თავი, მაგრამ ვერ წაგვართვა უმთავრესი... ის, რაც შენ თითოეული ჩვენგანის გულში



კახა კერესელიძე

განანნილე – დიდი სიყვარული. ჩვენ უშენოდაც გვეყვარება ის, რაც შენში გვიყვარდა! დაე, მსუბუქი იყოს შენთვის ჩვენი ცრემლით დამძიმებული ქართული მინა... მინა, რომელზედაც ასეთი დიდი გულითა და ასეთი დიდი კაცობით დააბიჯებდი...

შენი ძმადნაფიცები

კერეს, გაგიმარჯოს!

ღამეა, წყვდიადი. სადაცაა, ირიჟრაჟებს. ჩვენ ვზივართ და ვფიქრობთ.

ვფიქრობთ, როგორ ვაკეთოთ ჩვენთვის ყველაზე უცნაური და წარმოუდგენელი რამ, როგორ გადმოვიტანოთ ფურცელზე კახუნა კერესელიძის მიერ ჩვენს გულელებში სამუდამოდ დატოვებული გრძნობები და მონატრება.

ვფიქრობთ... და მალევე ვხვდებით, რომ ვიკარგებით ჩვენს ფიქრებში, ვიკარგებით ჩვენს მოგონებებში, რომელიც სულ მცირე ხნის ურთიერთობის განმავლობაში მრავლად დაგვიგროვდა.

ამბობენ – დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, ვხვდებით, თუ რაოდენ მცდარი ყოფილა ეს ყოველივე. უკურნებელია ჩვენთვის ის იარა, რაც შენ დაგვიტოვე, ძმაო...

ყველა ჩვენგანს გუშინდელი დღესავით ახსოვს, თუ რა ელვასავით შემოიჭერი ჩვენს გულელებში, კერეს, და რა უცაბედად დაგვტოვე სამარადისოდ.

ეხლალა ვხვდებით, შენი გაცნობის დღიდან შენს წასვლამდე რა მალე გასულა დრო. თურმე, რა მცირე ხნით გვექონია შენთან ყოფნისა და მოფერების შესაძლებლობა.

არადა, თითქოს გული გიგრძნობდა, რომ მალე დაგვმორღებოდი და მაგიტომაც სულ ყოველთვის ჩქარობდი და ცდილობდი ყველაფერი მოგესწრო.

მოასწარი კიდეც, რამეთუ ზოგიერთი ღრმა სიბერემდეც ვერ ახერხებს იმდენი სიკეთისა და სითბოს კეთებას, რაც შენ



დათესე, კერეს და რასაც დღემდე ვიგონებთ, არამარტო ჩვენ, არამედ სრულიად უცხოებიც კი.

გაცნობის პირველივე დღიდან შეეფიცეთ ერთმანეთს ძმობა და დაიწყო ჩვენი უმაგრესი საძმოს – შენი კანტორის სტუდენტობის წლები.

შენთან გატარებული ყოველი დღე გამორჩეული და ერთმანეთზე უფრო ხალისიანი და სასიამოვნო იყო კერეს...

დღემდე გაცხადებული ვართ, შენი ყურადღებანიანობით. ყოველთვის პირველი გვილოცავდი დაბადების დღეს და ყოველთვის პირველი ამოგვიდგებოდი მხარში გასაჭირის უამს.

დიახ, ყოველთვის პირველი!

ჩვენი ლექტორები დღემდე აღტაცებით გიგონებენ, როგორც ყველაზე განათლებულ და ერუდირებულ სტუდენტს. შენი თავჩაქინდრული და დაულალავი სწავლის წყალობით, სრულიად დამსახურებულად შეიძლება გენოდოს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი.

შენ თნაბრად მაღალ დონეზე იყავი განსწავლული იურისპრუდენციის ყველა დარგში და ხშირად ჩვენც გვასწავლიდი...

აღბათ, ვერც წარმოიდგენ, როგორ გვსიამოვნებს და როგორ გვეამაყება, როცა ვგებულობთ, რომ შენს პუბლიკაციებს დღემდე სიამოვნებით ეცნობიან ახალგაზრდა იურისტთა თაობები.

და ყველაზე მთავარი: კერეს, ჩვენ დღემდე ვამაყობთ შენი კაცობით, შენი ვაჟკაცობით, შენი სიტყვა-პასუხით, შენი სიყვარულით, შენი ქართველობით და რალა თქმა უნდა, შენი თამადობით!..

“დრო, დროზე ჩქარა მიქრის...”

კი, ნამდვილად მასეა... ჭეშმარიტებაა...

ერთ დროს ხალისიანი, უდარდელი სტუდენტი ბიჭუნები, შენ წარმოიდგინე და გაჭალარავებული, შენს მიერ დატოვებული უდიდესი სევდით აღსავსე კაცები ვართ უკვე, კერეს...

ჩვენ უკვე შვილები, ჩვენი პატარა ვაჟკაცები გვეზრდება და წარმოგვიდგენია, როგორ დალლიდი და გაანვალებდი შენი ალერსითა და სიტბოთი...

დანამდვილებით შეგვიძლია გითხრათ, რომ ჩვენ – შენი

კახა კახიანი


მ

ძმაცაცები ბედნიერები ვიქნებით, თუ ჩვენი შვილები დაგემსგავსებიან შენ!

შენ ხარ კაცი, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში უდიდესი და წარუშლელი, ნათელი, ვაჟკაცური კვალი დატოვა ამქვეყნად.

კერეს, გაგიმარჯოს!

კახა კეკელიძე





კახა კაკაბაძე



მე კახას მის დაბადებამდე ვიცნობდი...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია – მე კახას მის დაბადებამდე ვიცნობდი, როცა იგი ამ ქვეყნად არ იყო მოვლინებული და დედის მუცელში იმყოფებოდა.

ეს ასე მოხდა: 1980 წელს ქ. მოსკოვში მომინია ჩასვლა ჩემს სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით. ამ დროს იქ იმყოფებოდა ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამემამულე (ვიწრო გაგებით) რაჭიდან, კახას მამა ჯაბა კერესელიძე, რომელიც სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა მაშინდელ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში.

ჯაბას თან ახლდა მისივე მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი ნანი, რომელიც ფეხმძიმედ იყო კახაზე. მართლაც ქალბატონმა ნანიმ უშიშარი გადაწყვეტილებით – საკეისრო კვეთით მოავლინა ამქვეყნად მისი და მისი მეუღლის სიყვარულის ნაყოფი ჩვენი ძვირფასი კახა.

გადიოდა წლები, ბატონი ჯაბა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გადმოვიდა სამუშაოდ.

იმ ხანად ჯაბას და ქალბატონ ნანის ოჯახი რუსთავში ცხოვრობდა. კახა რუსთავის მეორე საშუალო სკოლაში სწავლობდა და მალალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა იგი. დადგა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისა და სპეციალობის არჩევის საკითხი.

ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილებით კახას უნივერსიტეტში უნდა ჩაებარებინა მისაღები გამოცდები და მამის კვალს უნდა გაჰყოლოდა – იურისტი, სამართალმცოდნე უნდა გამოსულიყო.

მართლაც, კახამ მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის უფასო (ამ დროს არსებობდა ფასიანი განყოფილება(ც) განყოფილებაზე).



უნივერსიტეტში კახა დიდი მონდომებით და წარჩინებით სწავლობდა. იგი წარჩინებულ სწავლას უნარიანად უთავსებდა სამეცნიერო წრეებში მუშაობას, ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო მუშაობას, მოგვიანებით კი არჩეულ იქნა სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. მან პირველმა მიიღო ს. ჯორბენაძის სახელობის სტიპენდია, ყოველწლიურად ლეზულობდა მონაწილეობას სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში და გამოდიოდა მოხსენებებით. ლეზულობდა პრჩებს და ჯილდოებს.

უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლისთვთან დაკავშირებით კახას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა და თანამშრომლებმა მოაწყვეს ალპინიადა კავკასიონზე და ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს იურიდიული ფაკულტეტის სახელი მიენიჭა. სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა კახას ხელს არ უშლიდა წარჩინებით დაემთავრებინა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მას რეკომენდაცია მისცა ასპირანტურაში ჩასაბარებლად. მართლაც მან წარმატებით ჩააბარა ასპირანტურის მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ადმინისტრაციული სამართლის პროცესის სპეციალობით ასპირანტად.

ასპირანტურში სწავლის პერიოდში კახა აგრძელებდა უნივერსიტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას... იგი იყო საუნივერსიტეტო ასპირანტთა და სტუდენტთა გაერთიანებული საბჭოს წევრი.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში მოდაში შემოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის უმართებულო კრიტიკა. უნივერსიტეტი როგორც ყველაზე სუფთა და ძლიერი ეროვნული დაწესებულება არ ემორჩილებოდა და მედგრად ეწინააღმდეგებოდა „ახალი ბოლშევიკების მიერ უმართებულოდ ტალახით დასვრას." უნივერსიტეტის ავტორიტეტის, მისი თვითმყოფადობის დამცველთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენი სასიქადულო კახა კერესელიძე. იგი ხელმძღვანელ-

მ

კახა კერასელიძე

ობდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ გამართულ მიტინგებს. კახა უშიშრად ამხელდა უნივერსიტეტის სახელის ცილისმნამებელთა ზრახვებს და საყოველთაო მხარდაჭერას პოულობდა მომიტინგეთა შორის.

გავიდა რამდენიმე წელი... ჩაცხრა მომიტინგეთა მღელვარება. უნივერსიტეტში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა. კახამ თავისი სამეცნიერო საქმიანობა გააგრძელა. მალე იგი სამართალდამცავ ორგანოებში გადავიდა სამუშაოდ, სადაც უმოკლეს ვადაში მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი.

ძალიან მოკლე დროში კი დაისვა საკითხი კახას წარსაგზავნად სტრასბურგში – საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლად.

სრულად მოულოდნელად კი საშინელი ცნობა გავრცელდა - ბათუმში მყოფი კახა ავტოკატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპაო...

საზარელი მოულოდნელობა და დიდი უბედურება დაატყდა თავს ქალბატონი ნანისა და ჯაბას ოჯახს, მის მეგობრებს, ახლობლებს...

ვერ ვივინყებ მის თბილ, თავდახრილ, მუდამ მომღიმარ მზერას... ღმერთმა არც დამავინყოს იგი...

პროფესორი: ვალერიან მეტრეველი



სამართლებრივი
სისტემა

- რალაც უცნაური სცენარია!..

- ერთადერთი მთავარი გმირი!..

- არც თეთრ ქალაღზე ლამაზად მოხაზული ასოებით გამოყვანილი და არც მტკრიან თაროზე შემთხვევით შემოდებული. ეს ერთი ადამიანის გახსენებაა, ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე. მისი უსაშველო მონატრება და საოცარი გულისტკივილი...

- ჩვენ ერთნაირად ჩაგვბერეს სული!

- ჩვენ ერთნაირად ჩიტებივით მოვფრინდით!

- ჩვენ ერთნაირად გავიდგით ფესვი და ქორფა ყლორტები ნაჩუქარ, არნახულ სამყაროში გამოვისხით!

მას ისე ელოდებოდნენ, წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ! ეს იყო სიხარული, რომელიც ქვეყნიერებას აზანზარებდა! მისი სუნთქვა და არსებობა - ცხოვრების აზრი, არდაკარგვის შიში და საოცარი მოფრთხილება.

დედისთვის - ნატვრის ხე, ცას რომ მისწვდებოდა...

მამისთვის - იმედი, რომელიც არასდროს გაქრებოდა...

ძმისთვის - გაჩირალდებული გზა, სულ რომ ენთებოდა... იცით, როგორი იყო?

წყალივით დაუდევარი, დაუშრეტელი ენერჯია, თბილი და ტკბილი, სიცოცხლით სავსე... და კეთილშობილი ღიმილი... მისი თვალები ჩემთვის იყო - სუფთა და ძლიერი, მისი სახე - ძალიან ამაყი და ჩაფიქრებული, ცხოვრება კი - თითქოს უცნაურად თავდადებული. ამ ყველაფერზე მტკივნეულად მეფიქრება: - რამდენი სამყარო გრძელდებოდა მისით!

რამდენი იმედი და ოცნებების ასრულება!

ღმერთო, რა იქნებოდა, მისი შვილები ყვავილებივით გამრავლებულიყვნენ და უკვდავების წვიმაში მოხვედრილებს, უსასრულოდ ეყვავილათ?! ჩვენ ყველას, გული საშინლად გვაქვს დამსხვრეული და არც კი ვიცი, საიდან მოდის ეს არაადამიანური მონატრებისა და სინანულის გრძნობა. ჩვენ ხომ ულამაზესი ოცნება დაგვეკარგა!

გაიგოს ყველამ!


P.S.

კახუნა! - დედაშენს ისეთი ხმა აქვს, როცა შენს სახელს



ამბობს, რომ შეუძლებელია შენ არ გესმოდეს იმ ქვეყანაზე...
მე კი... ერთ საღამოს შენს ეზოში, როცა ერთი ჩიტი საკუ-
თარ თავს ფრენას ასწავლიდა, შევყურებდი – მოზუზულსა და
თმააქოჩრილს, მორცხვად მოჭიკჭიკესა და თვალბშე-
შინებულს... და უცნაურად გამეფიქრა – იქნებ, კახა მო-
ფრინდა-თქო, ჩვენს ეზოში, იმ ქვეყნიდან!..

ანა კერესელიძე



კახა კერესელიძე

მ

კახა — დედაუნივერსიტეტისა და დედაუნივერსიტეტელების სიამაყე...

კახა კერესელიძე



გაიხსენეთ, 2003 წლის 24 ნოემბერი, „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღე, როცა უნივერსიტეტს თავს დააცხრა უზრდელთა და უნიგნურთა ჯგუფი, რომელიც თავს „კმარას“ ავანგარდს უწოდებდა. გარედან დაფინანსებულმა, ყველაზე უზნეო ჯგუფის მიერ დაფრთიანებულმა ზიბრიყვემ პირველი შეტევა დედაუნივერსიტეტზე განახორციელა და ერთერთი პირველი, ვინც მაშინ ხმა აიმაღლა და სათავეში ჩაუდგა ცოდნის ტაძრის ღირსების დასაცავად აბოზოქრებულ სტუდენტობას, იყო კახა კერესელიძე! 29 წლის ბიჭი, რომლის და რამდენიმე, ნიჭითა და ზნეობით მასავით გამორჩეული ახალგაზრდის გულწრფელობამ, უანგარობამ, თავდადება, ავტორიტეტმა არამარტო გადაარჩინა უნივერსიტეტი, არამედ ღირსება შეუნარჩუნა გამიზნულად ჩირქმოცხებულ პროფესურას!



მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მერე რა, რომ ხელისუფლებამ მოიტყუა. მერე რა, რომ იმ დღეს გასაკეთებელი ავი საქმე დროში გაინელა და უნივერსიტეტი საბოლოოდ მაინც დაანგრის. თუმცა, მაინც ამაოდ არ ჩაუვლია კახასა და მისი თანატოლების მაშინდელ თავდადებას... ამაოდ არ ჩაუვლია იმიტომ, რომ ავმა და ბინძურმა ძალამ ვერ შეძლო დედაუნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი ბოხოქარი სულის ჩაქრობა და ვერც ვერასდროს შეძლებს! არსებობს პირადი მაგალითი, რომლის ძალასაც წინ ვერაფერი აღუდგება და ეს პირადი მაგალითი, უწინარესად და უყოყმანოდ დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტუდენტობის მაშინდელი ლიდერის კახა კერესელიძის სახელთან.

კახა — უნიჭიერესი სტუდენტი, პერსპექტიული მკვლევარი...

კახა — იმდროინდელი სტუდენტური საქმეების ერთერთი ინიციატორი და თანამონაწილე, ჭეშმარიტი ლიდერი...

კახა — უერთგულესი მეგობარი, რომელიც უშურველად გასცემდა სიტბოსა და სიყვარულს...

კახა — ზნეკეთილი, უანგარო, მუდამ მომლიმარი და გვერდში მდგომი მეგობარი...

კახა — ჩინებული ოჯახიშვილი...

კახა — უფროს თაობაშიცა და თანატოლებშიც აღიარებული ბიჭი, პარტნიორი, დასაყრდენი და მოსაფერებელი...

კახა — იმდროინდელი დედაუნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელების სიამაყე!

აკი, ამიტომ ვაწერთ ხელს ამ მოსაგონარს მისი უფროსი და თანატოლი მეგობრები...

ნუგზარ ფოფხაძე,
გიორგი მამაცაშვილი

მე

იმპროვიზაცია
 კარგად
 კარგად


ივ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აღმინისტრაციული სამართლის კათედრის უკეთილშობილესი და უნიჭიერესი ახალგაზრდა კახაბერ კერესელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



სიხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის დოცენტის ჯაბა კერესელიძის შვილი კახაბერ კერესელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რუმო გოგელიძე და ნონა თოდუა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კახაბერ კერესელიძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პროფესორი რომან მენგელია თანაუგრძნობს ჯაბა კერესელიძის ოჯახს შვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აღმინისტრაციული სამართლის კათედრის ასპირანტის კახა კერესელიძის გარდაცვალების გამო.





კახა კაკულაშვილი

ღეღა ნანი, მამა ჯაბა, ძმა პაპუნა კერესელიძეები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

კახაბერ კარსულიძე

პანაშვიდი 11, 12, 17 სთ. გამოხვეწება 13 VIII, 15 სთ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან. დაკრძალვა საბურთალოს სასაუღაოსო.

საზოგადოება „რუსთაველების“ წევრების სახელით საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ანზორ შონია თანაგრძნობას უცხადებს ღირსეულ რუსთაველს, ჯაბა კერესელიძეს შეიღის

კახაბერ კარსულიძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

კახუნა კარსულიძის სოვნა



კახუნა, ზუსტად ერთი წელი გავიდა, რაც შენ ნახედი. ნახედი ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ დანამდელებით ვიცით, ჩვენი გონებიდან შენი სოვნა ვერასდროს ნაიშლება. კახუნა, იცოდე, ჩვენ სულ გახსენებთ. გაცილებით მეტად, უზომოდ გვიყვარხარ ახლა, ვიდრე მაშინ გვიყვარდი. ერთად შეკრებისას ვიხსენებთ შენთან გატარებულ დროს და თითოეული მგობიარი მარტო დარჩენის დროსაც ტირის შენ გამო. კახუნა, დავაკლდი უკლებლივ ყველას. ძალიან, ძალიან გეტყვი გული. შენი ნასვლით გამონეწული ტკივილის მოთმენა აუტანელია.

„კლასელები“



დიპლომი

კახა კერესელიძე

ჯილდოვდება „სტუდენტური დღეები-2002“-ის
სამეცნიერო კონფერენციაში



ადგილის დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტი

ვ. შავჭავჭავაძე

ელდარდ შვეარდნაძე

თბილისი
2002



საქართველოს საზოგადოებრივი მედიის ეროვნული სამსახური



„ღვთისა და ერის წინაშე ვიყავი კეთილსინდისიერად
აღფასობდა საქართველოს საინსტიტუციო სსამართლოს
წყობის მოყვარულს და მისი აღსრულებების დავემორჩილო
მხელთა საქართველოს კონსტიტუციის, არაფერს ღმრთის
სწავს, ვინა საქართველოს კონსტიტუციის“

3

2005

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ეროვნული
სამსახური

ადმინისტრაციული საპარტოლოს, სისხლის საპარტოლოს
და სისხლის საპარტოლოს პროცესის პროცესუალი

კახა კარაიანი



დიდად სამწუხაროა, რომ ამ სტატიის ავტორი, უძველესი შემთხვევის გამო, ევლარ მოესწრო მის გამოკვლევას. დასაძინა, რომ კიდევ მეორე კარგი ჩანაფიჭრი დარჩა განუზოროცილებელი.

კახაბერ კარაიანი

ივ. ვაკახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის ასპირანტი.

ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო
და საკასაციო წარმოება საქართველოს
კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში სახელმწიფო მშენებლობის მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებების ფონზე, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა საქართველოს კანონმდებლობაშიც; მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების დარგში. მიღებულ იქნა რიგი აუცილებელი სამართლებრივი აქტები: "საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი", "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი", საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", ცვლილებები განიცადა "საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში", შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ძირითადი აქტებია, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ახალი ადმინისტრაციული კანონმდებლობა და საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ადმინისტრაციულ სამართალს თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მოხმობილმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესძლო სრულყოფილად მოეწესრიგებინა მთელი რიგი ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობები. რიგი სამართლებრივი აქტებისა ერიოდროულად შეიცავენ როგორც პროცესუალურ, ისე მატერიალურ ნორმებს, რაც ამ ნორმატიული აქტების ნაყოფანებებია. ასეთია, მაგალითად, 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", სადაც საჯარო სამსახურის გაულის მატერიალურ საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია პროცესუალური საკითხებიც (კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესი, დისციპლინური დაჯების განხილვის წესი და სხვა). მრავალადაა მოცემული პროცესუალური ნორმები და მთელი თავებიც კი უკავია პროცესუალურ საქმისწარმოებას ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ასეთებია:



მართივი ადმინისტრაციული წარმოება (თავი მე-6), ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში (თავი მე-7), ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება (თავი მე-8), საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (თავი მე-9) და სხვა. ამას გარდა, ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი ადმინისტრაციული იუსტიციის არარსებობაა, რაც, ყველას გასაკვირად, საქართველოს კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, დაუსშვებელია საპეციალური სასამართლოების შექმნა¹. ადმინისტრაციული იუსტიცია კი სწორედ ადმინისტრაციულ სასამართლოთა სისტემის შექმნის შემდეგ განხორციელდება სრულყოფილად. გასაკვირია, რომ კონსტიტუციაში ადმინისტრაციული იუსტიციის გაუთვალისწინებლობა, გარკვეულწილად, 1937 წლის ტრაგიკული პრაქტიკისაგან დაცვამაც განაპირობა. მაგრამ არ უნდა დაგვაკვირდეს, რომ დღევანდების, სამართლებრივი და განვითარებული სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში აუცილებელია ისეთი ინსტიტუტის არსებობა, როგორც ადმინისტრაციულ სასამართლოთა დამოუკიდებელი სისტემა, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ჩვენი, ისე ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც. მაგ., საფრანგეთის, სადაც ადმინისტრაციული იუსტიციას სწორედ ადმინისტრაციულ სასამართლოთა სისტემა ქმნის და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში ეს სისტემა უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ჩვენს ადმინისტრაციულ იუსტიციაში, რომელზედაც გვინდა ყურადღება გაემახვილოთ, არის ადმინისტრაციულ დეაქტა საპეციალური და საკასაციო წარმოების თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას შევხებით, რომელთა განხილვაც, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის შექმნის აუცილებლობას საქართველოში.

საპეციალური და საკასაციო საქმისწარმოება დემოკრატიული ფორმებია ადმინისტრაციულ პროცესში, რადგან ზემდგომ ადმინისტრაციულ ინსტანციაში გასაჩივრების გარეშე საქმის გადაწყვეტა ყოველთვის სამართლიანი ვერ იქნება. მაგალითად, საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის მკვლევართა აზრით, სახელმწიფო საბჭო, როგორც ზედა ინსტანცია, აკონტროლებს პირველი მოსამართლის გადაწყვეტილებას და აუქმებს მას, თუ იგი ააშკარავებს კანონის ან ხელისუფლების გადაშეშებას². ანუ, როგორც ვხედავთ, საფრანგეთში აქვდაცა და კასაცია დაკავშირებულია როგორც კანონის დარღვევასთან, ასევე, რაც ვწვლავ მნიშვნელოვანია, ხელისუფლების გადაშეშებასთანაც. აღსანიშნავია, რომ 1919 წლის 29 ივლისის, "საქართველოს სენატის დებულების 34-ე, 35-ე მუხლებით", მსგავსი ინსტიტუტი გათვალისწინებულ იყო სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში "ადმინისტრაციული განყოფილების" და სენატის საკასაციო დეპარტამენ-

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 83.

² С.В.Боботов, Правосудие во Франции, М., 1994 г, с. 101-111; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004 წ., გვ. 224.



ნტის საზოგადო კრების სახით, რომლებიც ადგილობრივი სასამართლოების ადმინისტრაციული განყოფილებების მიმართ ზედა ინსტანციას წარმოადგენდნენ. თუმცა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მოსპო რა ადამიანის უფლებათა დამცველი ყველა დემოკრატიული ფორმა, გააკუქმა იგი¹.

აქელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "მიმართვას"². იგი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების ერთ-ერთ ფორმას ზემდგომ ინსტანციაში. ადმინისტრაციულ თესტიციაში იგი წარმოადგენს თანამდებობის პირის მოქმედების (გადაწყვეტილების) გასაჩივრებას და დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობისათვის. სასამართლოში კი მას სულ სხვა დატვირთვა აქვს, იგი გულისხმობს ერთხელ განხილული საქმის ხელახლა არსებით განხილვას სხვა ზემდგომი სასამართლოს მიერ. ასეთი სასამართლოები კი საქართველოში საერთო სასამართლოების სისტემაშია და დადგენილია საქართველოს კანონით "საერთო სასამართლოების შესახებ". ესენი არიან: საოლქო და აუტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სააქელაციო პალატები, რომლებიც სააქელაციო წესით იხილებენ რაიონისა და ქალაქის სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით გადაწყვეტილ საქმეებს.

აგრეთვე უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, დიდი პალატა, რომლებიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავენ საკასაციო საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე³.

აქელაცია კასაციისგან იმით განსხვავდება, რომ აქელაციის დროს წარმოებს საქმის ხელახალი არსებითი განხილვა, ხოლო საკასაციო წარმოებისას - ფორმალური, კანონის მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით. როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლშია აღნიშნული, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით.

ვევლანზე მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე სააქელაციო და საკასაციო წარმოება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არეგულირებს გასაჩივრების ინსტიტუტს ადმინისტრაციულ ორგანოსა სისტემაში. სასამართლოში ადმინისტრაციული დავებისა და საჩივრების საქმეებზე სააქელაციო და საკასაციო წარმოებისათვის გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, ხოლო ადმი-

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1919 წწ., თბ., 1990 წ., გვ. 300-302.

² Юридический энциклопедический словарь, М., 1984, с. 23; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მუხრანელი შ. კაბაშვილი/ თბ., 1989 წ., გვ. 48.

³ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, 1997 წ., 13 ივნისი, მუხ. 2,20,30. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, მუხ. 7, 1999 წ., 12 მაისი. სტატია შუად იყო გამოსტეფებული, როდესაც საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ" შეტანილ იქნა ცეცხლზე, რომლის თანახმად 2005 წლის 1-ლი ნოემბრიდან საოლქო და აუტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები შენაშენისა და იწოდებან სააქელაციო სასამართლოდ და აუტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააქელაციო სასამართლოდ (იხ. საქართველოს კანონმდებლობა, მაცნე, N36, მუხ.219, 11-07-05).



საქართველოს საზღვრო დაცვა

ნისტრაციული გადაცდომის საქმეებზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ამის მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვფიქრობ, არის არასრული საკანონმდებლო ბაზა. შედეგად კი ეღებულობთ, რომ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით წესრიგდება, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ მისაღებია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებია სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება ადმინისტრაციულ საქმეებზე. ასევე აღნიშნულია, რომ ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები, რაც იმაზე მოითხოვს, რომ ადმინისტრაციულ დავებზე სააპელაციო და საკასაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს დავის საგნის ღირებულების მიუხედავად¹. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და წარდგენილი იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო, ანდა საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელმძღვანელოა არის შედგენილი საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას და მი-

თითებას ამ გადაწყვეტილების გამოიტანს სასამართლოზე; 4. მიითებებს იმის თაობაზე, გადაწყვეტილება მთლიანადაა თუ რომელიმე ნაწილშია გასაჩივრებული; 5. მიითებებს, რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი; 6. მონაცემებს გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარსა და იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; 7. სააპელაციო საჩივარზე უნდა დაერთოს წერილობითი მასალების ნუსხა.

სააპელაციო საჩივარი და დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარუდგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეცაა საქმეში. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილი უნდა იქნეს აპელანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ზარევი გარკვეულ ვადაში, რომელსაც თვითონ უნიშნავს. თუ ამ ვადაში ზარევი არ იქნა შეესებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. ადმინისტრაციულ საქმეებზე ასეთი პრაქტიკის დამკვიდრება, როგორც სწორად შენიშნავს პროფესორი ვ. ლორია, გაუმართლებელია, ვინაიდან ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს გათვალისწინებულია არა მარტო კრიტიკა, არამედ საჯარო ინტერესებიც, რის გამოც, სასამართლო ვალდებულია, გადაწყვიტოს ნებისმიერი საჩივარი, მიუხედავად იმისა, სრულყოფილიადაა წარმოდგენილი მასალა, თუ

კახა კახიანი

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, თბ., 2000 წ., ნაწ. II, გვ. 289.



არა¹. სააკლაციო საჩივრის შეტანის ვადა კი 14 დღეა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. იგი იწვევს მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის ან მისი გამოცხადების მოშენტიდან. თუმცა ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლების სრულად გამოყენების დამატებით გარანტიასაც, რისი უგულვებლყოფაც იწვევს პირის ინტერესების უსაფუძვლო შელახვას და საქმის გადაწყვეტის გაჭიანურებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და² 416-ე მუხლებით დადგენილი წესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი გასაჩივრების ვადის დინების დაწყებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, კერძოდ, თუ გადაცემულ სასამართლო აქტით პირს განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი³. ამავ კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, მხარეს უნდა გადაეცეს სასამართლოს ვეღვა გადაწყვეტილების ასლი, რომელშიც მითითებული იქნება მხარეთა მიერ სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლე-

ბის სრულად გამოყენების მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი გარანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა მე-12 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრების ვადა განისაზღვრება ერთი წლით სასამართლო აქტის გამოცხადიდან. ამდენად, როგორც ზემოთ მოხმობილი მუხლები ანალოზი გვიჩვენებს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა საეაღდებულო წესით ითვალისწინებს მხარისათვის სასამართლო აქტის გადაცემას. მიუხედავად იმისა, ესწრებოდა თუ არა იგი გადაწყვეტილების გამოცხადებას, რომელშიც სრულად უნდა იყოს მითითებული მისი გასაჩივრების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, როგორც სწორადაა შენიშნული ლიტერატურაში, მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემა, თუნდაც ამ მოთხოვნათგან ერთის დარღვევით, დააბრკოლებს გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყებას და იგი ავტომატურად იქცევა ერთწლიან ვადად, რომლის ათვლაც დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადის მომენტიდან, ყოველგვარი დათქმის გარეშე და ასეთ შემთხვევაში საჩივარი დასაშვებია⁴. მიუხედავად ამისა, როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ამ წესს⁵.

¹ ე. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002 წ., გვ. 303.
² რუსთაშვილი, ო. ტაბუკაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2000 წ., გვ. 44.
³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე, თბ., 2003 წ., N5, გვ. 1152-1155, 2002 წ., N10, გვ. 1585. 2005 წლის 24 ივნისს შესული ცვლილებების შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2005 წლის 15 ივლისიდან, მხარეებს შეუძლიათ შეამფარებლობთ მიმართონ სასამართლოს, ანდა სასამართლომ საუფარო ინციტატივით გამოიღიარა განჩინება, მიღებული სასამართლო აქტის ას-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, რთაც აქვს უფლება დასაჩივრების ერთწლიან ვადა, რაც, უდავოდ, მხარეთა უფლებების დაცვას კარგი გარანტია და ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმართლების განხორციელებას - საქმის ოპერატიულ გადაწყვეტას (საქ. საკანონმდებლო მაცენ, N37, მუხ. 244, 14-07-05).



საქართველოს საზღვრო დაცვა

საქართველოში
საზღვრო დაცვა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლი ადგენს, რომ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მოშივნიანი ან მოწინააღმდეგე მხარე წერილობით განაცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, მომავალში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება, ეს კი არ შეესაბამება სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიან ვადას, რომლის განმავლობაშიც მხარეს, ნებისმიერ დროს აქვს უფლება, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ შეიძლება დაეიწიოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისას საქმე გვაქვს არა მარტო კერძო, არამედ საჯარო ინტერესების დაცვასთანაც.

იქნება გამომდინარე, რომ სააპელაციო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც განიხილა მოცემული საქმე, ეს უკანასკნელი ვადდება, დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს სააპელაციო სასამართლოს საქმე, აგრეთვე დამატებით შემოსული ყველა მასალა (სსკ-ს 371-ე მუხლი). სააპელაციო საჩივრის მიღებისას მის ჰსლებს სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარესაც, რომელსაც შეიძლება დაუნიშნოს ვადა სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად. სააპელაციო საჩივრის შეტანა იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შერჩევას მთლიანად ან მის ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, დროებით შეაჩეროს აღსრულება და გაუქმოს მასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ასეთ დროს არ მოქმედებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შერჩევის ის წესი, რომელიც დადგენილია ასკ-ის 29-ე, 30-ე მუხლებით ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში განხილვისას. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შერჩევა, აღსრულების ღონისძიებების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით, რასაც სასამართლო ახდენს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს და იღებს ყველა კანონიერ ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში. სასამართლო უნდა ამოწმებდეს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს წესი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლში, რაც ადმინისტრაციულ საქმეზე გაუმართლებელია. განცხადების გადაცემის ეფექტი ადმინისტრაციულ პროცესში ნიშნავს არა ამ განცხადებით შემოფარგვლას, არამედ განცხადების გარეშე საქმის განუხილველობას.

სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისასთან დაკავშირებით, იმისგან დამოუკიდებლად, დანაშეუბია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. 377-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო

როგორ შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, თუ ეს საკითხი მოპასუხის მიერ წამოყენებული იყო პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას ან, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც, ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული.

ყურადღაღებია კიდევ ერთი საკითხი, რომელიც შეეხება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას. სამოქალაქო კანონმდებლობით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ხოლო საქმის ზეპირი განხილვისას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია შიშისაღმდეგე მხარის თანხმობით. საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. აღნიშნული წესის გამოყენება აღმინისტრაციული დავების საქმეებზე ფოველითის არ არის მიზანშეწონილი და საჩივარზე უარის თქმის მიუხედავად, სასამართლომ მაინც უნდა გადაწყვიტოს იგი საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთპროპორციულობის საფუძველზე. მიზანშეწონილად მხარე ფოველითის უფლებამოსილია, წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ნათქვამი უარი სააპელაციო საჩივარზე¹. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო და საჯარო ინტერესები ერთმანეთს ემსახურებიან და საჩივრის გადაწყვეტილებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს როგორც ცალკეულ პირთა, ისე საერთო ინტერესებს.

სააპელაციო სასამართლოში საქმე განხილვა ისე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ამასთან საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, მაგრამ თუ ეს ფაქტები და მტკიცებულებები შეიძლება და ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში ფოველითი წარდგენილი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ მიიღოს იმისი, როგორც დაგვიანებით წარდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულ განხილვას და თუ მხარე უხეში გაუფრთხილებლობის გამო, არ წარდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს. აქაც შესაძლებელია მივუთითოთ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეთანხმებამდე და ამ წესის გამოყენება არ დაეუშვათ აღმინისტრაციული დავების განხილვის დროს. მით უმეტეს, რომ აღმინისტრაციული საბროცესო კანონმდებლობა სასამართლოს ანიჭებს უფლებას, მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა პარალელურად, დამოუკიდებლად შეაგროვოს საქმის კანონიერად გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი ვარაუდობები და მტკიცებულებები (სსკ-ის მუხლი მე-4, მე-19).

დავის საგნის შეცვლა ან გადღება დასაშვებია სააპელაციო სასამართლოში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ამას თანახმა ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად ცნობს. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოყვლევის შედეგები

¹ ვ. ლორია, საქართველოს აღმინისტრაციული საბროცესო სამართალი, თბ., 2002 წ., გვ. 202. საქართველოს აღმინისტრაციულ-საბროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004 წ., გვ. 227-228.



ქვეყნის უსუსრობა

მოლიანად ან ნაწილობრივ. სააპელაციო საქმის წარმოება იწყება ზეპირი განხილვით, რომლის დროსაც სასამართლოს ერთ-ერთი წევრი გამოდის მოხსენებით, რომელიც წარმოადგენს საქმის გარემოებას და სხვა. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად. საქმის განხილვას კი უშუალოდ უნდა მოჰყვეს მტკიცებულებათა გამოცვლა. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმება მოლიანად ან ნაწილობრივ, ან შეუძლია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ე.ი. სააპელაციო სასამართლო თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად: ა) თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შუამდგენლობამ, ბ) თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, გ) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც ობიექტურად სასამართლოს არ ექვემდებარება, დ) თუ გადაწყვეტილება მიღებულია საჯაროობის წესების დარღვევით ზეპირი მოსმენისას, ე) თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტი-

ლების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ვ) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია ამ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ ადმინისტრაციულ ორგანოში, ზ) თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული. სააპელაციო სასამართლოს, თუ ეს შესაძლებელია, უფლება აქვს, თვითონ გადაწყვიტოს სადავო საყი-თხი და არ გადაგზავნოს საქმე უკან. (საქ. სსკ, მუხ. 385.)

2005 წლის 25 მარტს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესისა, ადმინისტრაციული წარმოებისას სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს დამოკიდებული არ იყოს მხარის ნებაზე (მოსარჩელის ან მოპასუხის შუამდგომლობით მეორე მხარის გამოცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოღებაზე). რაც შეეხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავის დებულებანი, შევნიშნავთ, რომ ადრე ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 26¹ მუხლის მე-2 ნაწილით (2004 წლის 29 დეკემბერს შესულ ცვლილებებამდე, რითაც იგი გაუქმებულ იქნა) სასამართლო უფლებამოსილი იყო, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის ზღაპირობად

კახა კარაული

არასაკატიოდ გამოუცხადებლობისას¹, ამჟამად კი ეს დაშვებულია მხარის არასაკატიოდ გამოუცხადებლობის პირველსავე შემთხვევაში რაც, თამამად შეიძლება ითქვას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მყარი გარანტიაა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს ჩვეულებრივი სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნებს. გარდა ამისა, მასში მითითებული უნდა იყოს პირი, რომელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, მისი მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედი მინარსი, ის საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მითითებულ უნდა იქნეს სასამართლოს დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება.

კანონმდებლობით, როცა მხარეს არ აკმაყოფილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მას შეუძლია საკასაციო საჩივარი შეიტანოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატაში².

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო ასეთ დარღვევას მაშინ აქვს ადგილი, თუ: ა) სასა-

მართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, გ) როდესაც მან არასწორად განმარტა კანონი. აღნიშვნის ღირსია ერთი გარემოება, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამრიგად, საკასაციო განხილვის ფარგლებში მხოლოდ კანონის ფორმალური დაცვის ჩარჩოებში განისაზღვრება და საკასაციო ინსტანცია საქმეს არსებითად არ განიხილავს.

თუ მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის არარსებობის გამო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში უკან დაუბრუნებლობის ველა შემთხვევა ჩაითვლება კანონის დარღვევად და თუ ეს დაბრუნება სააპელაციო სასამართლომ არ გააკეთა, ამას განახორციელებს საკასაციო სასამართლო. საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს იმ სასამართლოს დასახელება, რომლის სახელზეც შედგენილია საჩივარი, იმ პირის დასახელება და მისამართი, რომელსაც შეაქვს საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება და მითითება ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე. თბ., 2002 წ., N3, გვ. 296.

² 2005 წლის 23 ივნისის ცვლილების ძალაში შესულად, საკასაციო გასაჩივრებას ექვემდებარებოდა ხალხი სასამართლების კოლეგიების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მხარეებს და შესაბამის პირებს შეეძლოთ გასაჩივრებოდათ საკასაციო სასამართლოში, ვინაიდან სააპელაციო პალატა ხალხი სასამართლოში შედიოდა და არ იყო ცალკე სააპელაციო სასამართლო. 2005 წლის თვლისიდან ხალხი და ავტონომური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებში აღარ მოქმედებს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეჯი, რომლებიც საქმეებს განიხილავდა პირველი ინსტანციით. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N36. მუხ. 219-227. 11-07-05.



საქართველოს საზოგადოებრივი მედიის ეროვნული სამსახური

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ეროვნული
სამსახური

ასევე მითითება, თუ გადაწყვეტილებების რა ნაწილია გასაჩივრებული, რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება და მოითხოვს თუ არა მომხივანი გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი). საკასაციო საჩივარში უნდა იყოს აგრეთვე მითითება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას ეყარება. საკასაციო საჩივარს აგრეთვე უნდა დაერთოს წერილობითი მასალების ნუსხა და ხელმოწერილი იყოს მომხივნიშ მიერ. თუ ეს მოთხოვნები არ იქნა დაცული, საკასაციო საჩივრის შემტანს სასამართლო ავალებს, შეაოსოს ხარვეზი და უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გასწორდა, საკასაციო საჩივარი განუხილველი რჩება, რაც ადმინისტრაციული დავის საქმეზე დასაშვებია, ვინაიდან კასაცია შეეხება კანონის მხოლოდ ფორმალურ დარღვევას და საქმის არსებით უკანონო შედეგებზე აქ ლაპარაკი არ არის.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა ერთი თვეა სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების ან კასატორიისთვის მისი გამოცხადების მომენტიდან. სააპელაციო სასამართლო, სადაც შეიტანება საკასაციო საჩივარი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს საკასაციო სასამართლოს საჩივარი და მთლიანად საქმე. ვინაიდან საკასაციო სასამართლოში საქმე განიხილება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში განხილვისათვის ზოგიერთი გამონაკლისების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო თუ ადმინისტრაციის, რომ არ არსებობს

საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოხსენებული 394-ე მუხლის პირობები), გამოიტანს განიხილვას საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ. საკასაციო გასაჩივრების დროსაც, თუ საჩივარი მიღებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება გასაჩივრებულ ნაწილში, მაგრამ, თუ იგი დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც ზეპირი განხილვის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს.

საკასაციო საჩივარი ჩვეულებრივ განიხილება ზეპირი განხილვის გზით. საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას ფორმალური თვალსაზრისით, მაგრამ მინც საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, იმ შემთხვევის გარდა, როცა საკასაციო საჩივარი შეეხება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას და საჩივარზე ამ დარღვევებს ეყარება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ სასამართლომ შეამოწმოს ექვემდებარება თუ არა მოცემული საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. ტერიტორიულ და საგნობრივ თავდაპირველ განსაჯილობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, რაც დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ ასეთი წამოყენებული იყო მოპასუხის მიერ, საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას ან, თუ არსებობს საპატიო მხეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში. დაუშვებელია შეგვებული სარჩელის წარდგენაც ზეპირი განხილვის განმავლობაში.

სააპელაციო საჩივრისაგან განსხვავებით, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგვებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული ფაქტობრივი გარემოებები საეაღდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლო არ ეძება საქმის არსებით მხარეს და მხოლოდ ფორმალურად იხილავს საჩივარს, ე.ი. ამოწმებს სააპელაციო გადაწყვეტილებას კანონის სრული დაცვით იყო თუ არა მიღებული. მაგრამ თუ საჭირო გახდა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა და ამიტომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, მაშინ საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო გადაწყვეტილებას და უბრუნებს საქმეს ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო თავის განჩინებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას. რა მტკიცებულებებია შესატრები და სხვა რა კონკრეტული საპროცესო მოქმედება

უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ. ყველა სხვა შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვითონ დებულობს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საჩივარს: ა) თუ საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ბ) თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მხარეებს კი, საკასაციო საჩივრით, შეუძლიათ მოითხოვონ კანონის დარღვევით მიღებული სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის, რაჟი ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

“მართალია, საკასაციო სასამართლოში ყველაფერი ეს ფორმალურადაა ჩხირყვდილობას წყაგავს, რაჟი საკასაციო სასამართლო საქმეს არსებითად არ იხილავს, მაგრამ ამ ფორმალობის დაუცველობის გამო სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება საფუძვლილი ხდება საქმის ხელმოკრედ არსებითად განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც უბრუნდება გასაჩივრებული საქმე” – აღნიშნავს პროფ. ვ. ლორია¹.

¹ ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002 წ., გვ. 207. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2004 წ., გვ. 233.



საქართველოს პარლამენტი

სასამართლო საკასაციო განაჩევრების ზემოთ განხილული წესი ერთი შეხედვით შედეგს არ იძლევა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და იგი შექმნილია იმისათვის, რათა სასამართლოებმა უზრუნველყონ პროცესუალური ნორმების დაცვა და ქვეყნად სასამართლოების მუშაობის მწყობრი კანონიერება. მაგრამ არსებითად უკანონო გადაწყვეტილების მიღება ფოველთვის დაკავშირებულია პროცესუალური ნორმების დარღვევასთან, რომ პროცესუალური ნორმები სწორედ იმიტომ არსებობენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მჭტურიალური ნორმების სწორი რეალიზაცია. თუმცაღა, როდესაც საკასაციო ინსტანცია შეამჩნევს პროცესუალური ნორმების დარღვევას და საქმეს დააბრუნებს ხელახალი განხილვისათვის, საქმის ხელმეორედ განხილვა გამოააშკარაებს ადამიანის უფლებების ხელყოფას და უკანონო გადაწყვეტილების მიღებას აგვაცილებს.

შეიძლება, საქმის ხელმეორედ განხილვის დროსაც, პირის უფლებები კვლავ იქნეს დარღვეული, მაგრამ დარღვეული უფლებების განმტკიცება კანონიერი პროცესუალური მოქმედებით ძალიან ძნელია, რის გამოც სა-

სამართლო ეცდება, საქმის შესამედ განხილვის დროს მაინც (ერთი პირველი ინსტანციის წესით და ორი სააპელაციო წესით) დაიცვას ადამიანი და მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვის შედეგად გამოჩნდა, ადმინისტრაციულ დაეთა წარმოება ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს და საშურია, მათი გამოსწორების მიზნით ახალი ნორმატიული აქტების მიღება ან მოქმედ სამართლებრივ აქტებში არსებითი ცვლილებების შეტანა, რომლითაც აღიარებული იქნება ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის არსებობა. ხელისუფლება მიმდინარე სასამართლო რეფორმის პროცესში მოსაზრებებს დაამკვიდრებს საქართველოში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აღიარებულ ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელს, რომლის დასაწვისადაც გვესახება ქ. თბილისში სპეციალიზებული ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი ცალკე სასამართლო კოლეგიის შექმნა, საოლქო და აეტრონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სააპელაციო სასამართლოებად ჩამოყალიბება.

საქართველოს პარლამენტი



03. ჰავანისუფილის სანქციის თბილისის სანქციის
შედეგების



სანქციისუფილის და სანქციის შედეგების

სანიშნისუფილის კრების

შედეგების თბილისის იურიდიული ფაკულტეტის
80 წლისთავისადმი

სანიშნისუფილის კრების



თბილისის შედეგებისადმი გამომცემლობა
თბილისი 2003



მასხაპე მენახელში
ასპირანტი

საგამომიებო უზენაესი და ფინანსური გამომიება სამართლებლო სისხლის სამართლის პროცესში

საგამომიებო სამსახურის რეფორმა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოში კანონიერების რეჟიმის შემდგომ განმტკიცებასთან, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების აუცილებელ დაცვასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებასთან. უკვე დიდი ხანია, იურიდიულ მეცნიერებაში მიმდინარეობს დისკუსიები საგამომიებო სამსახურის რეფორმის აუცილებლობის, საგამომიებო სამსახურის შემდგომი ბედის შესახებ. მიუხედავად გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთპოლარული ხასიათისა, ერთი ძირითადი საერთო საზი მანე იკვეთება - აუცილებელია საგამომიებო სამსახურების რეფორმირება. ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა კანონპროექტი „წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც, ჩვენი მონაცემებით, სრულიად მოულოდნელად ჩაეარდა და საუბარიც გამოძიების რეფორმირების შესახებ მიჩუმადა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ დაწყებულია სერიოზული მუშაობა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისათვის, რომლის ქვაკუთხედი, ჩვენი აზრით, სწორედ საგამომიებო სამსახურების რეფორმია, რაც პირველ რიგში უნდა გამოისატოს ეროვნული საგამომიებო ბიუროს შექმნითა და საგამომიებო ორგანოების დამოუკიდებლობით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაამტკიცოს, რომ პირველ რიგში:

1. აუცილებელია გამოძიების ფუნქციის, როგორც დამოუკიდებლის, აღიარება და
2. უნდა მოხდეს საგამომიებო ორგანოების ერთი ორგანოს შემადგენლობაში თავმოყრა.

პროცესუალური უზენაესის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პროცესუალურ ფუნქციებზე არც ადრე და არც ახლა არ არის ერთიანი აზრი. სწავლულ იურისტთა მრავალი თაობა დაეობდა იმაზე, თუ რა არის პროცესუალური ფუნქციები: ცალკეული სახეები, ცალკეული მიმართულებები სისხლის სამართლის პროცესუალური საქმიანობისა თუ სპეციალური დახმუნულება და როლი პროცესის სუბიექტებისა, განპირო-

კახა კერულიძე



ბებული სამართლის ნორმებითა და სისხლის სამართლის პროცესუალური საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით გამოხატული¹ შივი შეწყვეტის აზრით, პროცესუალური ფუნქციები არის არა სახეები და მიმართულებები პროცესუალური საქმიანობისა, არამედ არის გამოხატულება მიმართულებებისა სისხლის სამართლის პროცესში, დანიშნულება და როლი თითოეული პროცესის მონაწილისა, იმისა და მიუხედავად, თუ რომელ სტადიაზე იმყოფებიან ისინი. ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს არის ცალკეული სახეები, მხარეები ან მიმართულებები პროცესუალური მოღვაწეობისა, რომლებშიც გამოხატულება როლი, პროცესუალური მდგომარეობა, მიზანი პროცესის მოქმედი პირებისა. იმისათვის, რომ ნათელი მოსაზრება შეგვექმნას ამ თეორიებზე, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სტროგოვიჩის აზრით (და თითქმის ყველა პროცესუალისტი ასე ფიქრობდა), „ფუნქციები – ეს არის პროცესუალური მოღვაწეობის მიმართულებები“... მაგრამ როგორი? აი, სწორედ აქ არის თავსატეხი – ჩაითვალოს თუ არა პროცესის ყველა მონაწილის საქმიანობა პროცესუალურ ფუნქციად? ავტორის აზრით კი, არ შეიძლება, ყველა მონაწილის საქმიანობა ჩაითვალოს სისხლის სამართლის ძირითად მიმართულებებად. და მხოლოდ ცალკეული სახეები და მიმართულებები მივიჩნიოთ ასეთად. აქედან გამომდინარე, იგი ასახელებდა სამ ძირითად ფუნქციას:

1. ბრალდება;
2. დაცვა;
3. საქმის გადაწყვეტა, განხილვა.

სწავლულ იურისგთა დიდი ნაწილი ამ აზრს არ ეთანხმებოდა და, ჩვენი აზრითაც, სამი პროცესუალური ფუნქციის თეორია ვერ ახერხებს, მთლიანობაში წარმოაჩინოს პროცესის ძირითადი მიმართულებები, ფუნქციების თანაფარდობა და ურთიერთკავშირი, მათი შექაჩიში და რეალიზაცია. მას გარდა ამ თეორიის² ყველა არ იღვასისწინას, რომ არის დეკლარატიული და მოსაზრება, რომელიც არ გამოიხატება არც ერთი სხვა ფუნქციის ქვეშ.

ცნობილი პროცესუალისტის რახუნოვის შეხედულებებზე დაყრდნობით კი, სტროგოვიჩს გამოგოვებული ჰქონდა (გარდა გამოძიების ფუნქციისა) მთელი რიგი ფუნქციებისა, ამავდროულად რახუნოვი აცხადებს, რომ პროცესის ყველა სტადიაზე ეს ფუნქციები არ ხორციელდება, მაგ., წინასწარი გამოძიების დროს არ ხორციელდება ბრალდება, ამავდროულად თითქმის შეიმჩნევა საქმის გადაწყვეტის ფუნქციის არსებობა. ავტორის აზრით, არასწორად არის გააზრებული ბრალდების ფუნქცია, ანუ როგორც წამყვანი ძალა, სისხლისსამართლებრივი პროცესისა.

ჩვენი აზრით, სტროგოვიჩის მიერ წამოყენებული მოსაზრება გასაზიარებელია, გარდა იმ ადგილისა, სადაც იგი გამოიხატავს ბრალდების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, ვინაიდან გამოძიება სრულიად დამოუკიდებელია და არ შეიძლება არ იყოს გამოკვეთილი ცალკე. მაგრამ ამაზე დეკლარატიულია და არ შეიძლება არ იყოს გამოკვეთილი ცალკე. მაგრამ ამაზე დეკლარატიულია და არ შეიძლება არ იყოს გამოკვეთილი ცალკე.

¹ М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, том I, М., 1968.
² Р. А. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, М., 1961.



ლურად ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი მივეყვით მსჯელობას. როგორც მოგახსენეთ, რახუნოვი არ ეთანხმება სტროგოვიჩის და ასახელებს 6 ძირითად ფუნქციას: პირველში მუდის: 1. გამოძიება; 2. ბრალდება; 3. დაკეცა; 4. სამოქალაქო სარჩელის წაყენება; 5. სამოქალაქო სარჩელისაგან თავის დაღწევა; და 6. საქმის გადაწყვეტა. ვუიქრობთ, ავტორს შედუმეგად აქვს გაფართოებული ფუნქციები, რაც გამომდინარეობს პროცესუალური ფუნქციების ცნების ავტორისეული განმარტებიდან, როდესაც იგი აცხადებს, რომ „ფუნქცია – ეს არის როლი, დანიშნულება, პროცესის თითოეული მონაწილისა“. მაგრამ, თუ აქ მოიაზრება პროცესის ყველა მონაწილე, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ექსპერტის, თარჯიმნის, მოწმის და სხვა მონაწილეების საქმიანობა პროცესუალურ ფუნქციად? სულ მათ თავიანთი როლი არ აკისრიათ პროცესის მიმდინარეობისას?! სულ სხვაგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს ასევე ცნობილი პროცესუალისტი ელკინდი. იგი ორ ნაწილად ყოფს ფუნქციებს – ძირითად და არაძირითად ფუნქციებად: 1. გამოძიება; 2. დაკეცა; 3. საქმის სასამართლოში განხილვა და გადაწყვეტა. მეორეში კი ფუნქციები, რომლებშიც გამოიხატება მოწმეების, ექსპერტის, დამსწრის, თარჯიმნის, სასამართლო სხდომის მდივნის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის მოღვაწეობა. პირველ რიგში ისმის კითხვა: სად არის აქ ბრალდების ფუნქცია? ვინაიდან არაერთიარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი მოამბრება არცერთი ფუნქციის ქვეშ. ბრალდება ხომ უმნიშვნელოვანესი ნაწილია სისხლის სამართლის პროცესისა, მის გარეშე წარმოადგენელია პროცესის მიმდინარეობა, მას ისეთივე დომინირებული მდგომარეობა უკავია სისხლის სამართლის პროცესში, როგორც გამოძიებას, დაკეცას, სასამართლო განხილვას. აქედან გამომდინარე, ელკინდის პოზიციის გამაიარება მიუღებლად მიმაჩნია. აქ შევაჩერებთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებების განხილვას ფუნქციათა რაოდენობის შესახებ და გავაგრძელებთ საუბარს სისხლის სამართლის პროცესის ფუნქციის ცნებაზე.

იმას, რომ პროცესუალური ფუნქციები პროცესუალური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია, ამას რახუნოვი ეთანხმება, მაგრამ შემდეგ აცხადებს: „პროცესუალური ფუნქციების განხორციელება ხდება თითოეული მონაწილის მიერ თავისი უფლებამოსილებისა და მოვალეობების შესრულების დროს“¹ აქ რახუნოვი არ ითვალისწინებს, რომ პროცესის არა ყველა მონაწილის მოქმედებაა პროცესუალური ფუნქცია, არამედ მხოლოდ იმათი, რომელთა მოღვაწეობა დაკავშირებულია პროცესის ძირითად მიმართულებებთან, ანუ პროცესის მონაწილეებზე კი არ დაიყვანება ფუნქცია და ძირითადი მიმართულებები, არამედ ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარეობს პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები. იგივე შეიძლება ითქვას ელკინდის თეორიის მიმართაც, რომელიც, ჯერ ერთი, არ აღიარებს ბრალდების ფუნქციას და, მეორეც, ფუნქციონალურ დაგვირთვის აძლევს იმ სუბიექტებს, რომლებიც მხოლოდ ეხმარებიან ძირითად მონაწილეებს კომპარატივის დადგენაში. ფუნქციები ხომ წარმოადგენენ დაზაკავშირებელ რგოლებს პროცესის მონაწილეთა შორის, გარდა

¹ P. A. Рахунов, Учасники уголовно-процессуальной деятельности, М., 1961.

ამისა, ფუნქციების დატვირთვა გამოიხატება იმით, რომ იგი ეხმარება პროცესის თითოეულ მონაწილეს, იოვოს თავისი ოპტიმალური ადგილი პროცესის მიმდინარეობისას. აქედან გამომდინარე, შევძლება ვთქვათ, რომ პროცესუალური ფუნქცია არის სისხლის სამართლის პროცესუალური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები. ე.ი. პროცესუალური ფუნქციებია: 1. გამოძიება; 2. ბრალდება; 3. დაკეცა; 4. საქმის განხილვა და გადაწყვეტა.

გამოძიების ფუნქცია

გამოძიების ფუნქციაზე საუბრისას აუცილებელია, მიმოვიხილოთ ისტორიული ექსკურსი, რაც უცილობლად დაგვეხმარება პრობლემების გადასაჭრელად. საბჭოთა საგამოძიებო აპარატმა სათავე აიღო რუსეთის სასაკონსპექტოს 1917 წლის 22 ნოემბერის №1 დეკრეტით „სამართლის შესახებ“. ამ დეკრეტმა გააუქმა მოსამართლე-გამომძიებლის ინსტიტუტი და წინასწარი გამოძიების ჩატარება გადასცა საბჭოებთან არსებულ საგამოძიებო კომისიებს. კომისიების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იყოს კომისიის შემდგომ ორგანოში. იმავედროულად ყალიბდება სპეციალური უფლებამოსილების საგანგებო კომისიები (ჩეკა). 1918 წლის 31 იანვარს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიარს ქმნება უფლებამოსილება წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი რეპრესიების სასამართლოს გარეშე გამოყენებისა. სამოქალაქო ომის შემდეგ იღებენ დებულებას „საპროკურორო შეღავნებულად არსების შესახებ“, იმავე წელს დებულებით „სასამართლო წყობილების შესახებ“ ჩამოყალიბდა საგამოძიებო განყოფილება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სის-ტემაში არსებულ პროკურატურის განყოფილებაში. ნელ-ნელა უწყება და კანონმდებლობა იხვეწებოდა და ბოლოს დღევანდელ ფორმამდე მოვიდა. დღეისათვის საქართველოში წინასწარ გამოძიებას აწარმოებს სამი უწყება: საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე – სამხედრო პროკურატურა.

გადავიდეთ კვლავ წარსულში და გაეანალიზოთ, რას ფიქრობდნენ მეცნიერები გამოძიების ფუნქციაზე. როგორც ზევით აღინიშნა, ამ ფუნქციის აღიარებდა სწავლული მეცნიერი რახუნოვი, რომელიც ამტკიცებდა მის დამოუკიდებლობას. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ გამოძიების ფუნქცია განხილულიყო როგორც საპროკურორო გამოძიება. აცხადებდნენ, რომ გამოძიება – ეს იგივეა, რაც სამხედრო საქმიანობა. ამავედროულად იყო მოსაზრებები, რომ გამოძიებელი ერთდროულად ახორციელებდა ბრალდების, დაკეცისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციას. ამ აზრს იზიარებდა ცნობილი მეცნიერი გულავეი, მას ეს მოეწონა კანონმომიერად მიიჩნია. მისი აზრით, ყოველივე ეს განპირობებულია საქმის სრული და ყოველმხრივი გამოძიებით. საინტერესოა მისი მოსაზრება გამოძიების მიერ დაკეცის ფუნქციის განხორციელებაზე: „გამომძიებლის მონაწილეობა დაკეცის ფუნქციის განხორციელებაში განპირობებულია ბრალდებულის დაკეცის



კონსტიტუციური უფლებით და სისხლისსამართალწარმოების ერთ-ერთი ამოცანით¹. სამწუხაროდ, იგივე დატვირთვა აქვს დღეს ჩვენი გამოძიებას. გამოძიებარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ინკვიზიციურ პროცესთან, რაც უდიდეს დარღვევას აყენებს ქართულ იურისპრუდენციას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოძიებას ხელს არ უშლის, დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება, განახორციელოს ისეთი ფუნქციები, როგორცაა: მოკვლევა, გამოვლენა დანაშაულის ჩამდენი პირების, მასალების მიწოდება სასამართლოსათვის, დაკითხვა და ა.შ. ჩვენი ამრით, გამოძიება მოითხოვს ძალზე ფაქტ მდგომარეობას, უნაიდან მთელი საქმის ბუდი დამოკიდებულია კარგად წარმართულ გამოძიებაზე. აქ კი წარმოიშობა ერთი პრობლემა: უნაიდან დღეს გამოძიება ახორციელებს ბრალდების ფუნქციას, საფიქრებელია, რომ პირველ რიგში იგი აქცენს გააკეთებს გაამაგყუნებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე, რათა ჩაეგვის იმ მყირე დროში, რომელიც დადგენილია ბრალდების წარსადგენად. თან, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ რეალობას, დავინახავთ, რომ კორუპციული გამოძიებლის ხელში მისი უფლებები შეიძლება საკმაოდ ძლიერ იარაღად გადაიქცეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ. მართალია, პროკურატურა აწარმოებს საპროკურორო ხელმძღვანელობას გამოძიებაზე, მაგრამ თუ იმ ამრსაც გავითვალისწინებთ, რაც დღეს პროკურატურის ირგვლივ გრიალებს, დავინახავთ, რომ ეს ორი ორგანო სასწრაფო რეფორმირებას მოითხოვს, რაც, პირველ რიგში, გამოძიების ორგანოების რეფორმირებით უნდა გამოიხატოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, გამოძიებას უნდა აეკრძალოს საბრალდებო დასკვნის შედგენის უფლება, ანუ გამოძიებაზე უარ უნდა იქვას ბრალდების ფუნქციის განხორციელებაზე, იგი მობილიზებული უნდა იყოს საქმის სრულ და ყოველმხრივ გამოძიებაში. ანუ საითვის ნათელია: „გამომძიებელი-ბრალმძიებელი თავის დაინიშნულებას ვერ ამართლებს და იგი არადემოკრატიულია. გამოძიებლის მოვალეობაა საქმეზე მტკიცებულებების მოპოვება, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და არა საბრალდებო, სამართლებრივი დენის ფუნქცია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ პროცესის ერთ სუბიექტს დაუსუბებელია, კქინდეს ორი ან მეტი თვისებრივად ურთიერთგამომრიცხავი საქმიანობის მიმართულება. „გამომძიებელი უნდა იყოს „ორსახიანი იანუსი“, ბრალდება და სისხლისსამართლებრივი დენა უნდა გაიმიჯნოს გამოძიებისაგან“². ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნებაა. სწორედ ამდგვარი მიდგომა საკითხისაღმე გამოარჩევს შეჯიბრებითობით პროცესს ინკვიზიციურისაგან. ამავეს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც დეკლარირებულია, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ აღმსკერებს გამოძიების დამოუკიდებელ ფუნქციად გამოყოფის საკითხს, იგი, თავის

¹ Уголовный процесс, под редакцией Н. С. Алексеева, В. З. Лукашевича, П. С. Экинца. М. 1972.
² გ. შეფარიშვილი, თ. ნინიძე, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ, თბ., 1996, გვ. 14.



მხრივ, აყენებს მოთხოვნას ერთიანი საგამომიებო ბ. კროს შექმნის თაობაზე, რომელიც მოახდენს გამოძიების ორგანიზების ერთ ორგანოში - ამასთანავე სრულიად დამოუკიდებელში - გაერთიანებას. თუმცა, სანამ გამოძიების ბიუროზე გადავალო, სასურველია შევეხებით უწყებრივი გამოძიების პრობლემას.

უწყებრივი გამოძიება

უწყებრივი გამოძიება, ანუ საგამომიებო ქვემდებარეობა ეწოდება საქმის თვისებას, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი ეკუთვნის ამა თუ იმ გამოძიებლის ან გამოძიებულთა კატეგორიის გაგებლობას. ამ მხრივ საგამომიებო ქვემდებარეობა სასამართლო ქვემდებარეობის ანალოგიურია. დღესდღეისობით საგამომიებო საქმიანობას აწარმოებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი, პროკურატურა, სამხედრო პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამომიებო აპარატი. წინასწარი გამოძიების ორგანოებში გამოძიებლის შემდეგი თანამდებობებია: გამოძიებელი, უფროსი გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამოძიებელი. საქართველოს სისხლის სამართლის სპაროცესო კოდექსის 62-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლის საგამომიებო ქვემდებარეობას და ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ მუხლით არის განსაზღვრული, თუ რომელ საქმეებს იძიებს პროკურატურა, სამხედრო პროკურატურა, გრანსპორტის პროკურატურა, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამოძიებლები. აღსანიშნავია, რომ ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდებზე საქმის გაერთიანებისას საქმეს იძიებს ის გამოძიებელი, რომლის საგამომიებო კატეგორიასაც განეკუთვნება კერძო შიშვე დანაშაული. ამავდროულად, თუ არსებობს კონკრეტულად სხვადასხვა სახის საგამომიებო ქვემდებარეობას შორის კონკურენცია, უპირატესობა ენიჭება უწყებრივ ქვემდებარეობას. გარდა ამისა, არსებობს ასევე გერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობა, რომლის მიხედვითაც საქმეს აწარმოებს ის გამოძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება იმ გერიტორიაზე, სადაც მოხდა დანაშაული. ისმის კითხვა: თუ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რა ხდება მაშინ? აქაც ისევე, როგორც უწყებრივ გამოძიებაში, საქმეს იძიებს ის გამოძიებელი, რომლის ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული. გერიტორიული ქვემდებარეობის დროს აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ გამოძიებელი დაადგენს, ეს საქმე არ ეკუთვნის მის საგამომიებო ქვემდებარეობას, მას არა აქვს უფლება, შეწყვიტოს გამოძიება, ან ჩამოშორდეს ძიებას, პირიქით იგი, ვალდებულია, ჩაატაროს გადაუდებელი საგამომიებო მოქმედებანი, ანდა საქმე გადასცეს პროკურორის საგამომიებო ქვემდებარეობის მიხედვით. რაც შეეხება ქვემდებარეობას, მას წყვეტს გენერალური პროკურორი.

საგამომიებო



შემოაღნიშნული მდგომარობა, არე საგამოძიებო ქვემდებარეობა: საჭიროებს დახვეწას. მის დასადასტურებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1. სსრ კავშირის არსებობის მთელ პერიოდში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პერიოდულად უფართოვდებოდა მისი საგამოძიებო სამსახურისთვის ქვემდებარე საქმეების რაოდენობა, განსაკუთრებით 70-იანი წლების ბოლოს. მაგალითად, 1978 წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეები გამოსაძიებლად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. შეიქმნა გაუგებარი სიგუაცია - არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ მკვლელობას ან გაუპატიურებას იძიებდა შსს, ხოლო სრულწლოვანისას პროკურატურა;

2. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ საგამოძიებო პრაქტიკას ჩვენს ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიებისას, როგორცაა გეროლიზმი. მაგალითად, შს მინისტრის პირველი მოადგილის ვია გულუას მკვლელობის საქმეს იძიებდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველო. ედას ლიღერის ვია ჭანგურიას მკვლელობას იძიებდა პროკურატურა. სოლიო საბუიშვილის მკვლელობის გამოძიებას კი აწარმოებდა უშიშროების სამსახური. 1995 წლის 29 აგვისტოს გერაქტის საქმეს იძიებდნენ პროკურატურისა და შსს გამოძიებლები ერთად. პარადოქსი კი ისაა, რომ ყველა საქმე ერთი მუხლით - ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით აღიძრა. ამას, ალბათ, უკვე კომენტარი აღარ სჭირდება;

3. კონსტიტუცია 95-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარება, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო კი აღმასრულებელ ხელისუფლებაშია. გამოდის, რომ გამოძიებებს ორგანოები, რომელთა საქმიანობის ერთიანი წესია დადგენილი, უწეციინირებენ როგორც სასამართლო, ისე აღმასახელისუფლებაში;

4. საგამოძიებო პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საშუალო ყოველი მე-10 სისხლის სამართლის საქმე იცვლის თავის პირვანდელ საგამოძიებო ორგანოს და გადადის ერთი საგამოძიებო ორგანოდან მეორეში. სურათი დაახლოებით ასე გამოიყურება: შსს საგამოძიებო დეპარტამენტიდან პროკურატურაში, ან პირიქით, სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო სამსახურიდან შსს-ში, ან პროკურატურაში. ყველა ასეთი გადათამაშება საქმის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული. 1995 წელს ერთი უწყებიდან მეორეში გადავიდა 2450 სისხლის სამართლის საქმე;

5. ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ოპერატიული სამსახურების გვერდით წინასწარ გამოძიებას უჭირს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ატებს რა პასუხს დაქვემდებარებული უწყების საქმიანობაზე, ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელები არ შეიძლება ჩაერიონ გამოძიებაში. ამასთან, ოპერატიული სამსახურები ყოველთვის დაინტერესებულნი იყენენ და არიან, თავიანთ „ჭკურქეში“ შეკავდეთ მორჩილი საგამოძიებო სამსახური, რადგან გამოძიება ყოველთვის იყო და არის ოპერატიული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის უფქტურობის უმკაცრესი კონტროლიორი. პრაქტიკულად, ოპერატიული სამსახურების მიერ დანაშაულის ჩა-

კვა კანკალნი



მდენი პირის დაკავებისას გამოიძიებელს ხშირად უხდება მიღებულ შედეგების მხოლოდ საპროცესო გაფორმება. მისი მაგალითი იყო ცალკეულ ბრალდებულზე გაუხსნელი დანაშაულების „მიწებების“ პრაქტიკა. ვერც ის გამოდგება არგუმენტად, რომ გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურების ერთ ჭერქვეშ ყოფნა გადამწყვეტია დანაშაულის გახსნისათვის. მარტო 1995 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გაუხსნელობის გამო შეაჩერა 5668 სისხლის სამართლის საქმე 15 163 საქმიდან.¹ მიუხედავად ზემოთქმულისა, მთლიანად დამორება გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობისა დაუმეგობრად მიმაჩნია. ოპერატიული ორგანოები უნდა ასრულებდნენ გამოძიებლის დაველებებს და სხვა მხრივ არ უნდა ეროდნენ გამოძიების პროცესში, ვინაიდან ამ ჩარევამ კორტად დაგვანახვა, თუ რა უარყოფითი შედეგები მოსდევს არაკომპეტენტური ორგანოების მიერ გამოძიების წარმოებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება გამოძიების დამოუკიდებელი ბიუროს შექმნა, რომელიც მოაწესრიგებს აღნიშნულ პრობლემებს და მოახდენს გამოძიების სათანადო დონეზე დაყენებას. ახლა კი, უპირაინი იქნება, განვიხილოთ სამღვარგარეთის პრაქტიკა და შევადართო ჩვენს, როგორც დღევანდელ, ასევე სამომავლო, მოდელს.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა

ცივილიზებული მსოფლიოს გამოცილება საშუალებას გვაძლევს, შეჯიბრებითობის გიპის წინასწარი გამოძიების ორი მოდელიდან – ინგლისურ-ამერიკული და ფრანგული – ავირჩიოთ ერთი რომელიმე. ფრანგულ მოდელს ახასიათებს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიას პროკურატურა აწარმოებს, პროკურატურა წარმართავს და ხელმძღვანელობს მოკვლევის ორგანოების საქმიანობას, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, აყალიბებს ბრალდებას. ამ მოდელით ყოველგვარ საპროცესო დავებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე მონაწილე მხარეებს შორის წყვეტს დამოუკიდებელი სასამართლო (მოსამართლე). მასვე ევალება იმ საპროცესო იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა სანქციონირება, რომლებიც მუდგავენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგალითად, ფრანგული სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევის ორგანოები, უმთავრესად პოლიცია, დადგენილი საპროცესო წესით ემორჩილებიან პროკურორს და სასამართლო კონტროლის პირობებში ახორციელებენ ბრალდების ფუნქციას მიმე დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსაც იძიებენ მოსამართლე-პროკურორები, ახორციელებენ, წარადგენენ და მხარს უჭერენ ბრალდებას, ითხოვენ მოსამართლე-გამომძიებლისაგან იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას, რომლებიც აუცილებელია ბრალდების დასადასტურებლად და ა.შ. გერმანიამ, მართალია, წინასწარი გამოძიების სტადია, როგორც ასეთი, 1974 წლიდან აღარ არსებობს, მაგრამ იქ ამ

¹ ჯ. შეფარიშვილი, თ. ნინიძე, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონროქტზე წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ, თბ., 1996.



საქმეს საპროცესო პროკურორის ხელმძღვანელობით და მასთან ერთად ახორციელებს კრიმინალური პოლიცია.

ინგლისურ-ამერიკელი მოდელის თავისებურება ისაა, რომ სისხლის-სამართლებრივი დენის საპროცესო ფუნქციას სხვა სამართლებრივ ახორციელებს პოლიცია, სისამართლოში კი ატორნეი ან სოლისტერი. ამ მოდელით შეჯიბრებითობის პრინციპის დაგვა გამოძიების სტადიაზე უზრუნველყოფილია დაგვისათვის ფართო საპროცესო უფლებების მინიჭებით. ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ პოლიციელის მოქმედება მოსამართლე-მაგისტრთან. სწორედ ეს უკანასკნელი ახდენს საპროცესო იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა სანქციონებას. თავისებურება ინგლისურ-ამერიკელი მოდელისა ისიცაა, რომ გამოძიება იქ გაგებულია განსაკუთრებული მნიშვნელობით და არ ხდება გამოძიების ჩვენთან ტრადიციულად არსებული სისხლის სამართლის საპროცესო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ურთიერთგამიჯნება.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკაზე მეტს აღარ შევჩერდებით, რადგან, ჩვენი აზრით, ეს ორი მოდელი ყველაზე უფრო გავრცელებული და მისაღებაა, თან, რაც მთავარია, ამ მოდელებზე პრაქტიკაში ძალიან კარგი შედეგები აჩვენა.

**ოპერატიულ-სამძებრო აპარატები და
გამოძიების პროცესული ბიურო**

როდესაც ვსაუბრობთ გამოძიების ეროვნული ბიუროს შექმნაზე, წარმოიშობა საკითხი, თუ როგორ ითანამშრომლებს ეს ორგანო ოპერატიულ-სამძებრო სამსახურებთან, ხომ არ შეუძლის გამოძიების რეფორმირება ხელს დანაშაულის გახსნას? ამ კითხვაზე პასუხს სცემს კანონოვითი „წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც გეთავაზობს თანამშრომლობის სამ ფორმას: 1. ოპერატიული აპარატების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე; 2. ოპერატიული აპარატების საქმიანობა საგანგებო ორგანოებთან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მერე და 3. ოპერატიული აპარატების საქმიანობა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეჩერების შემდეგ.

პირველი ფორმა ეხება ოპერატიული სამსახურების საქმიანობას ჯერ კიდევ იმ ეტაპზე, როცა სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და არც გამოძიება დაწყებულია. აქ შევადგებოდა არის ისეთი საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ან კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენის მიზნისაკენ. ყველაზე ადვილია ცნობილია, რომ დანაშაულს ახასიათებს ლატენგურობა და, აქედან გამომდინარე, ოპერატიული სამსახურების საქმიანობა შეიძლება ითქვას, ძალზე მნიშვნელოვანია და რომ გამოძიების სამსახურების ამით დაკავება, სავარაუდოა, უკუშედეგები მოგვცანოს. სწორედ ასეთი დანაშაულობების გამოვლენის მერე იწყება გამოძიება. როგორც ვხედავთ, ოპერატიული აპარატების მუშაობის ეს ფორმა საქმეზე გამოძიების დაწყებამდე მიმდინარეობს და რომელ სისტემაში იქნება, ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელოდ



საქართველოს
საზღვრო დაცვა

მოგვეჩვენოს, თუმცადაც ოპერატიული განყოფილების არსებობა გამოძიების ბიუროში წინაპირობაა მათი ეფექტური მუშაობისა.

მეორე ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიული სამსახურები შეთანხმებულ მუშაობას ეწევიან, როგორც პროკურატურის, ასევე, მის გამოძიებებთან, მიუხედავად იმისა რომ, პირველები შედიან პროკურატურაში, მეორენი კი მსს-ში. ასეთი ერთობლივი თანამშრომლობა უკვე ათწლეულები მიმდინარეობს პროკურატურასთან ერთად ბანდიტიზმის, ადამიანის ვაგაყების, განზრახ მკვლელობისა და ა.შ. წინააღმდეგ, ასე რომ თუ ცალკე გავა გამოძიების სამსახური, მათი შეთანხმებული მუშაობა შესაძლებელი იქნება, მაგრამ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორი უწყების ერთად ყოფნა იქნება წინაპირობა მდგომარეობის გამოსწორებისა, თუმცადაც მთავარი ის კი არაა, ერთ ჭერქვეშ იქნება ოპერატიული სამსახური და გამოძიება, არამედ ის, თუ როგორ შეასრულებენ ისინი კანონის მოთხოვნას და დაკისრებულ საქმეებს.

ახლა კი რაც შეეხება მესამე ფორმას, გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეები დღემდე იყო და მომავალშიც იქნება, მიუხედავად იმისა, რომ გატარდა სასამართლო რეფორმა, იწყება პროკურატურის რეფორმირება, გარდება მთლიანად სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. აქ მთავარია შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გააძლიერებს და ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს საქმიანობაში და მინიმუმამდე დაიყვანს გაუხსნელი საქმეების რიცხვს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიებების გატარება იწყება მას შემდეგ, რაც გამოძიებული გამოიტანს დადგენილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეჩერების შესახებ და დაეძღვება მისცემს ოპერატიულ სამსახურს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარების თაობაზე. ამდენად, ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ ოპერატიული სამსახურების გამოძიების ეროვნული ბიუროსადმი დაქვემდებარება ბევრად შეუწყობს ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამოძიების პროცესული ბიურო

გამოძიების ორგანიზაციაზე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ საგამოძიებო ორგანოები უნდა გაერთიანებულიყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, თუმცა მათივე განცხადებით, ეს არ იყო ოპტიმალური ვარიანტი. მაგ, ა. შ. ორნეევა აცხადებს, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ერთიანი საგამოძიებო კომიტეტის შექმნა, რაც პირველ რიგში გამოძიებლის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა.

აღსანიშნავია, რომ ეს პროგრესული იდეა გაიზიარა ბევრმა ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და თავად რუსეთშიც ვარკვეული თავისებურებით. მაგ. ყაზახეთის რესპუბლიკამ 1995 წლის ოქტომბრის ბრძანებულებით შექმნა ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საგამოძიებო კომიტეტი და მხოლოდ იგი აწარმოებს წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე. რუსეთში კი 1993 წლის 31 მარტის კანონით „საგამო-



ძიებო კომიტეტის შესახებ“ საგამომიებო კომიტეტი ჩამოაყალიბა აღმას-
რულებელი ხელისუფლების სისტემაში.

როცა ესაუბრობთ საქართველოში გამოძიების ერთ დამოუკიდებელ
ორგანოში გაერთიანებაზე, მხედველობაში უნდა შვიდოთ რამდენიმე აუ-
ცილებელი ფაქტორი. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ
ფარგლებში საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამარ-
თლებრივ დევნას და მისთვის ამ ფუნქციის ჩამორთმევა მიუღებელი და
გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, პროკურატურა არ უნდა ჩაე-
რიოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში, წინასწარი გამოძიების წა-
რმართვაში, მაგრამ ამის შემდეგ, როცა გამოძიებელი მიიჩნევს, რომ სა-
ქმეზე ყველა მასალა მოპოვებულია, ყველა საგამომიებო მოქმედება სრუ-
ლყოფილად და აღამიანის უფლებათა დაცვით არის ჩატარებული, საქმეს
გადასცემს პროკურორს საბრაოდებო დასკვნის შესადგენად და შემდგომ-
ში სასამართლოში მის წარსამართავად. თუკი პროკურორი მიიჩნევს,
რომ საქმე არასრულად არის გამოძიებული, დააბრუნებს მას წინასწარ
გამომიებაში მოტივირებული დასკვნით და შესაძლებელია მიითხოვოს
გამომიებლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც. გამოძიებლის ქმე-
დების კანონიერებას განიხილავს შემდგომი გამოძიებელი, ხოლო პრო-
კურორისას – მეზღვომი პროკურორი.

აუცილებელია, რომ გამოძიების ბიუროში ჩამოყალიბდეს სპეციალიზე-
ბული განყოფილებები, რაც ხელს შეუწყობს საქმეების გახსნას, ანუ ეკონო-
მიკურ დანამუდებზე შეიქმნება ცალკე განყოფილება, აღამიანის სიციხე-
ლისა და ჯანმრთელობის ხელშეყოფ დანამუდებებზე – კიდევ სხვა და ა.შ.

გამომიების ეროვნულ ბიუროზე საუბრისას გასათვალისწინებელია
კიდევ ერთი საკითხი, თუ სად შეიძლება ამ ბიუროს ჩამოყალიბება. გამო-
ძიების ფუნქციის დამოუკიდებლობა და გამოძიებლის დამოუკიდებლობა
გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გამოძიების ეროვნული ბიურო შეიქმნას
დამოუკიდებელი რეალის სახით, ბიუროს ხელმძღვანელი დაამკვიდროს სა-
ქართველოს პარლამენტმა საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით. მა-
გრამ მთავარია, რომ გამოიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ჩამოყალიბე-
ბული ერთიან სამართლებრივ პრინციპებზე და მის საქმიანობაში გამორი-
ცხული უნდა იყოს პარალელიზმი. გამოძიების დამოუკიდებელ სამსახური
გამორიცხავს უწყებრივ მეწოლას გამოძიების საქმიანობაზე მოკვლევის
ორგანოების შხრიდან. მათი ურთიერთქმედება უნდა გადავიდეს თვი-
სებრივად ახალ განზომილებაში.

გამომიების ეროვნული ბიუროს შექმნა დადებითად გადაწყვეტს დანა-
შაულის ყოველმხრივ. სრულ და ობიექტურ გამოძიებას, გამოძიებლის
როლის ობიექტურ შეფასებას დანამუდის გახსნის თვალსაზრისით, პრო-
ფესიონალიზმის ამაღლებას, ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის
გატარებას, მოწინავე გამოცდილებების ოპერატიულად დანერგვას საგა-
მომიებო პრაქტიკაში, შეუძლებელს გახდის საქმეთა ერთი უწყებიდან მე-
ორეში გადაგზავნას და ამით – როგორც საქმის გაჭიანურებას, ასევე აღა-
მიანის უფლებათა დარღვევას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით, აუცილებელი და სასწრაფოდ გასახორციელებელია საგამომიებო სისტემის რეფორმა, რათა დროულად შეიქმნას გამოძიების ერთიანი, დამოუკიდებელი ორგანო. ამავდროულად უნდა წარიმართოს მუშაობა იქითკენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოხდეს გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის, აღიარება და მისი დეკლარირება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს გამოძიების სისტემის რეფორმირებას.





სურსათუკუაერა
CERTIFICATE

საქართველო
საგარეო
კავშირების
სამსახური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

Ivane Javakhsishvili
Tbilisi State University

იურიდიული ფაკულტეტის

Faculty of Law

Post-graduate

სპირანტმა

ტარესეიძე

კახაბერი

_____ Kereselidze _____
_____ Kakhaberi _____

სპირანტურაში სწავლის პერიოდში
გვერდით გათვალისწინებული საკანდიდატო
მინიმუმების საფუძვლამ ვრთაღ დამატებით
შეისწავლა შემდეგი დისციპლინები:

During the post-graduate course of qualifying
subjects for the candidate degree has additionally
studied the following disciplines:

1. თანამედროვე სახელმწიფოებრივი
2. დამატებითი საკანდიდატო
3. სასამართლო უწყისობა

რეზიუმე
ავტორის
ღვათა
პროფესორი

1. Modern Legal Systems
2. Pedagogical Higher School
3. Philosophy of Law

Head of University
Academician

Dean of Law Faculty
Professor

R. Chelgeli





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

TBILISI IVANE JAVAKHISHVILI STATE
UNIVERSITY

დიპლომი
D I P L O M A

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი

აჯილდოვებს

I ხარისხის დიპლომით
... იყრედიუთი ...
 ფაკულტეტის *!!!* კურსის სტუდენტს
კახაბერ კერესელიძეს
 თსუ სტუდენტთა 66-61 სამეცნიერო
 კონფერენციაში გამარჯვებისათვის


კახა კერესელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, აკადემიკოსი *რ. მჭედია* /რ. მჭედია/

სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის
სამეცნიერო საზოგადოების
თავმჯდომარე *გ. მჭედია* /გ. მჭედია/

სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის
პრეზიდენტი *მ. ივანიძე* /მ. ივანიძე/

„*მ.*“ ივანიძე ... 2001წ.



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

მე

კახა ქარაიანი



80

საქართველოს
სამედიცინო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი






საქართველოს
სამედიცინო
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
მეცნიერებების
აქადემია

მ

კახა კერესელიძე






კახე კახიანიძე



საქართველოში





კახა ქაჩუაშვილი

გზაზე კერძოდაცვა






კახე კახიანიძე

მ

2003 წლის ნოემბრის
ბობოქარი დღეები



კახა კერაძე



